საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვუნი სიფფეა, ფეფილებით და ჭიანებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი-ოთხშაბათი, 17-18 ნოემბერი. 2020 წ. №160-161 (9086-9087) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

პოლიტმეიძავთა კლუბნაღა

4

საპკაანთ ბიჭი ჯდომელა მორბის...

ბარამიძის „მიშიადა“ და მისთვის საქვეყნოდ გაწნული სილა

2



გიორგი გახარია ინტენსიურ შეხვედრებს მართავს

საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, კორონავირუსის მართვის პროცესში პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია კლინიკების ხელმძღვანელებთან ინტენსიურ შეხვედრებს განაგრძობს.

არსებული საწოლფონდის რაოდენობასა და დამატებითი რესურსების მობილიზებაზე მთავრობის მეთაური, ჯანდაცვის მინისტრ ეკატერინე ტიკარაძესა და ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანთან ერთად, გუშინ „ევექსის“, „ჯეო ჰოსპიტალისა“ და მაღალტექნოლოგიური სამედიცინო ცენტრის წარმომადგენლებს ესაუბრა.

პრემიერ-მინისტრმა დეტალურად მოისმინა ინფორმაცია თითოეულ კლინიკაში არსებული საწოლფონდის რაოდენობის შესახებ და დაინტერესდა, რა ახალი საჭიროებების წინაშე დადგებიან კლინიკები დამატებითი რესურსის მობილიზების აუცილებლობის შემთხვევაში.

კლინიკების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ აქვთ დამატებითი საწოლფონდის მობილიზების შესაძლებლობა, მათ შორის როგორც თერაპიის, ისევე რეანიმაციის მიმართულებით და ამ კუთხით კონკრეტულ ნაბიჯებს უკვე დგამენ. მათივე შეფასებით, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის მსგავსი ტიპის კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის ხელს უწყობს არსებული ვითარების უფრო ეფექტურ მართვას და გამოწვევებზე ოპერატიულ რეაგირებას.

ყურადღება გამახვილდა ჰოსპიტალური სექტორის გადატვირთვის თავიდან აცილების მნიშვნელობაზე და ამ პროცესში კლინიკების ხელმძღვანელებისა და ექიმების როლზე, რათა კლინიკის მიღმა არ დარჩნენ ის ადამიანები, ვისაც სპეციალური სამედიცინო სერვისებით მკურნალობა პირველ რიგში სჭირდება. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია, განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ მძიმე შემთხვევების ჰოსპიტალიზაცია, ხოლო მსუბუქი შემთხვევების მკურნალობა გაგრძელდეს ბინაზე – ოჯახის ექიმთან აქტიური კონსულტაციით, ან კოვიდსასტუმროებში, სადაც უზრუნველყოფილია ინფიცირებულთა მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ახალი აფხაზეთი – სამართლიანობის“ განცხადება

3

დავით გარეჯი არ წარმოადგენს მხოლოდ მიწას, იგი ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყული სიწმინდეა!!!

შექმნილ ვითარებაში საქართველომ თავის მიწა-წყალზე ამერიკული ბაზების განთავსება უნდა მოითხოვოს!

7

სალომე ზურაბიშვილი მაია სანდუს ულოცავს

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი მაია სანდუს** მოლდოვის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს.

„გილოცავთ დამსახურებულ გამარჯვებას. ჩვენს რეგიონში კიდევ ერთი ქალი პრეზიდენტი ძალიან მნიშვნელოვანია. მოუთმენლად ველი ერთობლივ თანამშრომლობას და ევროპისკენ საერთო გზის გავლას“, – წერს ზურაბიშვილი.

მოლდოვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, ბიულეტენების 100 პროცენტის დათვლის შედეგად, საპრეზიდენტო არჩევნებში მაია სანდუმ გაიმარჯვა, რომელმაც ამომრჩეველთა 57,75 პროცენტის მხარდაჭერა მოიპოვა.

<u>დავით უსუფაშვილი:</u> სირცხვილის დერეფანი სახელმწიფოებრივი უკულტურობის ახალი ნიშნული იქნება

2

© მეოცნებეების შეძახილი!

საკაანთ ბიჭი ჯდომელა მორბის,

ანუ „მოვდივარ და იქავე ვარ“...

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲡ ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲓᲘ, ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ (ᲩᲝᲠᲜᲘ ᲘᲐᲠᲘᲓᲐᲜ) ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲨᲐᲜᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲚᲡ. ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲕᲐᲜ ᲞᲝᲔᲢᲡ ᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲡ ᲯᲓᲝᲛᲔᲚᲐ ᲛᲝᲠᲑᲘᲜᲚᲐᲓ ᲮᲐᲢᲐᲕᲡ, ᲓᲐ ᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝᲓ ᲒᲐᲰᲧᲕᲘᲠᲘᲡ, ᲛᲝᲕᲓᲘᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲘᲥᲐᲕᲔ ᲕᲐᲠ!.. ᲐᲛᲘᲡ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲘᲧᲝ, ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ ᲓᲐᲛᲘᲓᲒᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ, ᲘᲡᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲑᲘᲗᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲘᲓ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚ ᲥᲕᲐᲑᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲔᲢᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲥᲕᲐᲑᲨᲘ ᲚᲐᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲡ ᲗᲐᲕᲘ.

ამიტომ დგას და უსირცხვილოდ გაიძახის, მოვდივარ, საქართველოს თავი უნდა შევწიროო. როგორც ჩანს, ჯდომელა მორბის და ჯერხანად ისევ იქ არის. სამაგიეროდ, აქა-იქ, ბათუმშიც და თბილისშიც, უკვე გაჩნდა ნაბეჭდი პლაკატები: „მიშა, ჩამოდი!“, „მიშა, დაბრუნდი!“, „მიშას ვითხოვთ!“ თანაც ეს პლაკატები ისეთ ადამიანებს უჭირავთ, რომელთათვისაც, გამომეტყველებისდა მიხედვით, სულ ერთია მიშა ჩამოვა თუ არ ჩამოვა.

ნადიქტორალი უდუმაშვილის თქმით, ადამიანები თვითონ წყვეტენ, ვის რისი თქმა სურს. ეს მაშინ, როცა ნაციონალებმა თავად დაბეჭდეს ეს ეგრეთ წოდებული მიშას ჩამოსვლის მომწოდებელი პლაკატები და გარკვეულ კუპიურასთან ერთად მიაჩეჩეს ინდიფერენტულ, სულაც გულგრილ ადამიანებს, ვისთვიაც არცრა მნიშვნელობა არა აქვს, რას აჩეჩებენ, ოღონდ მაყუთის სუნი უდიოდეს. ასე რომ, უდუმაშვილო, შენი უმჭკუობით (თუ უჭკუობით) შენისთანების დაჯერებას ეცადე.

ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ თქვენმა საცოდავად შეკოწიწებულმა ოპოზიციურმა ერთიანობამ უკვე მძაღე ობი მოიკიდა და შეაღონა საზოგადოება თავისი სიმყრალით?! ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ აბუჩად იგდებთ იმ თქვენს ამომრჩეველთ, რომელთაც მხარი იმიტომ დაგიჭირეს, რათა პარლამენტის ტრიბუნიდან გაგეხმიანებინათ იმათი სათქმელი?! ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ ამჯერად გაჩუმებული ხალხი, ბოლოს და ბოლოს, ცუდად ამოიღებს ხმას და კანონის მთელი სიმკაცრით გაგისწორდებათ ისე, რომ თქვენ მიმართ ამჟამინდელი ერთგვარად ლოიალური ხელისუფლების დაუკითხავად მწარედ განანებთ თქვენს გაუთავებელ, ყელში ამომყვან ანტისახელმწიფოებრივ საქციელს.

ასჯერ რომ ჩატარდეს არჩევნები, სანამ თქენთვის სასურველი შედეგი არ დადგება (დიახ, არ დადგება!), მანამ იძახებთ: არჩევნები გაყალბდაო!.. მაშ, თქვენი მოკლე ბოროტი ჭკუით უნდა დავდგეთ, ყველაფერს თავი დავანებოთ და ვატაროთ და ვატაროთ არჩევნები! არჩევნების ქვეყანა გავხდეთ!

რაც შეეხება ჯდომელა მორბენალს, კურდღელ საკაანთ ბიჭს, რომელიც მოდის და ისევ იქავეა, ტყუილად აქეზებს და აგულიანებს თავის უკვე გულგატეხილ მომხრეებს ახალი სავარდო და სამაისო რევოლუციისთვის. სანამ მე ჩამოვალ, ხელი გაანძრიეთ, იმოქმედეთო, უთვლის საკაანთ ბიჭი თავის მომხრეებს, ხოლო ეს მომხრეები აქედან უთვლიან, ვანძრევთ, ვანძრევთ, მაგრამ არაფერი არ გამოგვდის, თუ ჩამოდიხარ, ჩამოდი, მარტო გრიშა ვაშაძის იმედად ნუ დაგვტოვეო...

დაცხრით, თქვე სინდისგაუქმებულნო, დაწყნარდით, დაამშვიდეთ ქვეყანაც და საზოგადოებაც, თუკი რისამე თავი გაქვთ, საქმეს მიხედეთ. კარგ საქმეს, თორემ მავნებლურმა და ქვეყნის ნგრევის საქმიანობამ უკვე მთელი სიგრძე-სიგანით გამოგაჩინათ, რა ბიჭებიც (და გოგოებიც) ბრძანდებით.

თქვენი ფიურერისა არ იყოს, თავი დაანებეთ ჯდომელა სირბილს. ჯდომელა სირბილი იგივე პოლიტიკური კუტობაა, თქვე მართლა გონებაკუტებო!..

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ

ᲕᲘᲠᲡ ᲞᲘᲢᲜᲐ ᲔᲯᲐᲕᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲕᲘᲠᲨᲘ ᲐᲢᲔᲜᲘᲓᲜᲔᲜᲝ!..

ᲘᲛ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ, ᲔᲕᲠᲝᲜᲐᲪᲘ ᲒᲘᲒᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲘ ᲒᲘᲐ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲔᲢᲐᲙᲜᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ „TV ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ“ „ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ“, ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛ „ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲖᲔᲗᲘᲡᲮᲘᲚᲘᲡ ᲑᲐᲚᲔᲑᲨᲘ“, ᲐᲜᲣ ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝᲓ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲒᲐᲮᲛᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲝᲜᲐ-ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘ ᲑᲚᲔᲤᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲐ.

უკვე ქვეყანამ იცის, მაგრამ მაინც გავიხსენოთ. იმ საქმიან შეხვედრაზე ალეკო ელისაშვილმა, „მოქალაქეების“ ლიდერმა და არჩევნებში ზღვარგადალახულმა, ხოლო ამჟამად ოპოზიციის ერთ-ერთმა ხმაურიანმა წევრმა, სიტყვას მოაყოლა და განაცხადა, მიხეილ საკაშვილმა თავი დაგვანებოსო!

ამის თქმა იყო და თვალებამოცეებული გია ბარამიძე აიყალყა არამკითხე მოამბესავით: როგორ თუ საკაშვილმა თავი დაგვანებოს, კაცმა, რომლითაც სულდგმულობს საქართველოში ოპოზიცია, რომლის პარტიამაც ამ გაყალბებულ არჩევნებში ოპოზიციურ პარტიათაგან ყველაზე მეტი ხმა აიღო, ურომლისოდაც მთელი ოპოზიცია არაფერს წარმოადგენს, საკაშვილმა არაფრისგან შექმნა დღევანდელი ქართული სახელმწიფო, თქვე უმადურებოო. მოკლედ მისცხო და მისცხო.

მის გვერდით მჯდომ გიგა ბოკერიას ჯერ ნერვიული წიკები დაეწყო, მერე კი მიმინოსავით მიაფრინდა სახეში და საკაშვილს ის აკადრა, რაც ეკადრებოდა. ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ატენიდნენო, ისეა შენი საქმეო, შეუღრინა ბარამიძეს. ოღონდ, სამგლე გოჭივით ატეხილი ბარამიძე მაინც ვერ გააჩერა. მან სწორედ რომ გულუხვად დაუბრუნა ვალი თავის კეთილისმყოფელ მიშას, რომელმაც ის ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრად აქცია და შემდეგ იმ პერიოდის უდიდესი სახელმწიფოებრივი საქმე ანდო: ქვემეხებითა და ვერტმფრენებით აღჭურვილი ათასკაციანი ჯარით აგზავნა სვანეთში აფრასიძეების ოჯახის ძირფესვიანად მოსათხრელად. სარდალმა პირნათლად შეასრულა პრეზიდენტის საპატიო დავალება. თუ XIX საუკუნეში მესტიაში რუსმა გენერალმა ამბოხებული ხალდე ზარბაზნებით დაანგრია, XXI საუკუნეში ქართველმა მინისტრმა ასევე ზარბაზნებით ევგენი აფრასიძის კოშკ-მაჩუბი გაასწორა მიწასთან.

ᲰᲝᲓᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲣᲤᲐᲡᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲜᲐ-

ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲘᲡ „ᲛᲘᲨᲘᲐᲓᲐ“ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝᲓ ᲒᲐᲬᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲚᲐ

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲚᲛᲐ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲔᲞᲝᲠᲐᲨᲘ, ᲛᲐᲢᲠᲝᲡᲝᲕᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲘᲤᲐᲠᲐ ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠ ᲨᲔᲤᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲐᲕ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲪᲘᲕ ᲜᲘᲐᲕᲡ ᲐᲠ ᲐᲙᲐᲠᲔᲑᲡ. ᲝᲚᲝᲜᲓᲔ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ ᲡᲣᲚ ᲘᲐᲚᲑᲣᲖᲘᲡᲛᲧᲝᲤᲔᲚ ᲛᲙᲔᲠᲓᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲘᲥᲪᲔᲡ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲜᲐᲡᲠᲝᲚᲘ ᲢᲐᲚᲐᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲣᲜᲬᲣᲮᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲘᲤᲐᲠᲐᲕᲡ.

ᲝᲠᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ ᲒᲘᲐ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲐᲛ, ᲡᲐᲢᲘᲠᲐᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝ ᲐᲛᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲜ�გᲠᲔᲕᲔᲚ ᲫᲐᲚᲐᲡ (ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲖᲔ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲒᲐᲘᲛᲔᲝᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ „ᲛᲘᲨᲘᲐᲓᲐ“, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ „ᲚᲔᲚᲝᲛ“ ᲓᲐ „ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲛᲐ“ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲡ), ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲜ�გᲔᲑᲝᲓ ᲬᲐᲛᲝᲬᲔᲕᲐᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲡᲣᲚᲐᲪ ᲒᲐᲮᲚᲘᲩᲝᲡ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲤᲣᲠᲗᲮᲘᲗ ᲨᲔᲬᲔᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, „ᲜᲔ ᲕᲘᲟᲣ“ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲝᲡ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲓᲐᲒᲣᲚ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲔᲒ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲝ! ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲓᲔᲛᲓᲔ? ᲓᲠᲝ ᲮᲝᲛ „ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ!!

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲣᲡᲣᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲣᲙᲣᲚᲢᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

— ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ „ᲚᲔᲚᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲣᲡᲣᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ „ᲤᲔᲘᲡᲑᲣᲥᲖᲔ“ ᲬᲔᲠᲡ.

„ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲑᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ-ᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲣᲙᲣᲚᲢᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲘᲛ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲛᲪᲓᲐᲠ ᲜᲐᲑᲘᲯᲡ ᲓᲒᲐᲛᲡ. ᲐᲛ ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲝᲗᲮᲘ �წᲔᲚᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲓᲐᲒᲕᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲜᲐ, ᲒᲐᲒᲕᲔᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲜᲐ, ᲓᲐᲒᲕᲔᲪᲕᲐ. ᲓᲐ �თᲣ ᲔᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲫᲔᲚᲘᲗ, ᲓᲐ ᲗᲣ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲠᲪᲮᲕᲔᲜᲝᲓᲔᲡ, ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲠᲪᲮᲕᲔᲜᲝᲓᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ — ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ 1460 ᲓᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲡ — ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ“, — ᲬᲔᲠᲡ დავით უსუფაშვილი.

დავით გარეჯი არ წარმოადგენს მხოლოდ მიწას, იგი ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყული სიწმინდეა!!!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ახალი აფხაზეთი – სამართლიანობის“ განცხადება

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებულმა ვნებათაღელვამ, რომელმაც გულგრილი ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების არც ერთი ფენა არ დატოვა, დევნილი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განცდებიც მოიცვა. ჩვენთვის, აფხაზეთიდან იძულებით წამოსული ადამიანებისთვის, მშობლიურ მიწას და ჩვენი ღირსეული წინაპრების მიერ რუდუნებით შექმნილ ტაძრებსა და სალოცავებს განსაკუთრებული ფასი გააჩნიათ. სწორედ მათი მადლი და ძალა გვამოძრავებდა,. საუკუნეების მანძილზე გაგვეძლო მრავალი განსაცდელისთვის, შეგვექმნა გამორჩეულად მიმზიდველი, ორიგინალური და მაღალი სულიერებით დატვირთული საკუთარი ისტორია. ამ მაგალითს წარმოადგენს აფხაზთა და ქართველთა ერთობლივი სალოცავი წმინდა გიორგის სახელობის ილორის ეკლესია.

კატეგორიულად ვემიჯნებით რა ამ პრინციპულად მნიშვნელოვან, მაგრამ ამავდროულად სენსიტიურ თემასთან დაკავშირებულ ინსინუაციებს, პოპულისტურ გამონათქვამებსა თუ მოსაზრებებს, მოვუწოდებთ შესაბამისი ვალდებულებებითა და ფუნქციებით აღჭურვილ უწყებებს, გონივრულ ვადებში დაადგინოს ჭეშმარიტება და იმ შემთხვევაში, თუკი დამტკიცდა, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით მავანმა და მავანმა გამოიჩინა დანაშაულებრივი გულგრილობა თუ განახორციელა ბოროტი განზრახვა, მხილებული იქნეს ერის, ბერისა და ქვეყნის წინაშე და მიეზღოს კანონის შესაბამისად, ვინაიდან დავით გარეჯი არ წარმოადგენს მხოლოდ მიწას, გეოგრაფიულ ტერიტორიას, იგი ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყული სიწმინდეა, ქართული ეროვნული მენტალობის მნიშვნელოვანი სეგმენტია.

ფრაქციის თავმჯდომარე: **რაისა ქარაია,**

წევრები: **ელგუჯა გვაზავა, დავით გვაძაბია, ვახტანგ კაჭარავა, თემურ მჟავია, ვახტანგ ყოლბაია.**

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი – საქართველოში

ერთი დღე ისტორიულ ვიზიტამდე. საქართველოს ორი დღით ამერიკის სახელმწიფო მდივანი ეწვევა. მაიკ პომპეო შეხვედრებს გამართავს პრემიერ-მინისტრთან, პრეზიდენტთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან. ის ასევე შეხვდება კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.

საქართველოში სახელმწიფო მდივნის ვიზიტის ფარგლებში გამართული მაღალი დონის შეხვედრებისას განიხილავენ ამერიკა-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებულ პრიორიტეტულ მიმართულებებს და ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული მტკიცე თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების პერსპექტივებს, როგორც თავდაცვისა და უსაფრთხოების, ასევე, ვაჭრობისა და ეკონომიკის, დემოკრატიის, ხალხთა შორის კონტაქტების, განათლებისა და კულტურული გაცვლის სფეროებში. მმართველი გუნდის შეფასებით, მაიკ პომპეოს ვიზიტი რეგიონული მნიშვნელობისაა. გეოპოლიტიკურ რუკაზე საქართველო რჩება სწორ მხარეს და ერთგულად განაგრძობს დასავლურ კურსს; საქართველოსა და ამერიკის პრაგმატულ ინტერესშია ერთმანეთთან კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა – სწორედ ამის კიდევ ერთ დადასტურებად მიიჩნევენ მმართველ გუნდში პომპეოს ვიზიტს საქართველოში.

მაიკ პომპეო მეექვსე სახელმწიფო მდივანია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან თბილისს ეწვევა.

ბათუმში ქართულ-ამერიკული აკადემია აშენდება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ლადო მგალობლიშვილი ბათუმში ქართულ-ამერიკული აკადემიის საძირკვლის ჩაყრის საზეიმო ღონისძიებას დაესწრო. შენობის საძირკველში სიმბოლური კაფსულა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა და სასწავლებლის დამფუძნებელმა ნინო ჩიკვაშვილმა ჩაუშვეს.

19-წლიანი გამოცდილების ქართულ-ამერიკული საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობა 2021 წელს დასრულდება და 800-მდე მოსწავლეს უმაღლესი ხარისხის ეროვნული და ამერიკული განათლების მიღების შესაძლებლობას მისცემს. პროექტს სკოლა „პროგრესი“ შპს „ანაგი განათლებასთან“ ერთად განახორციელებს. დასავლეთ საქართველოში პირველი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო აკადემია მოსწავლეებს სკოლამდელ (American pre-school), დაწყებით, საბაზო, საშუალო განათლებას, ასევე წინასაუნივერსიტეტო პროგრამებს შესთავაზებს. აქვე იქნება ამერიკული საატესტატო-სადიპლომო უმაღლესი სკოლაც (American high school), რომელიც ამერიკული საერთაშორისო ატესტატით საერთაშორისო კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების საუკეთესო გზაა.

საქართველოდან 4 709 ტონა ვაშლის ექსპორტი განხორციელდა

საქართველოდან ვაშლის ექსპორტი აქტიურად მიმდინარეობს. 2020 წლის 1 აგვისტოდან 15 ნოემბრამდე პერიოდში ქვეყნიდან 4 709 ტონა ვაშლის ექსპორტი განხორციელდა, რომლის ღირებულებამ 2,0 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული ვაშლის ექსპორტის მოცულობა 11-ჯერ აღემატება 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში განხორციელებული ექსპორტის მოცულობის მაჩვენებელს, ხოლო ექსპორტის ღირებულება 1,8 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა. ვაშლის ექსპორტი განხორციელდა, ძირითადად, რუსეთის ფედერაციაში – 4 550 ტონა; ქართული ვაშლი ასევე ექსპორტირებულია ყაზახეთში, სომხეთში, სინგაპურსა და ჰონგ-კონგში.

„ნარინჯისფერი რთველი“ დაიწყო

მანდარინის მოსავლის აღება-დაბინავების პროცესი უკვე დაიწყო. მოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი 40 ათასამდე ტონას შეადგენს. მოსავალი უხვი არ არის, თუმცა ხარისხი გაზრდილია.

მოსავლის აღება-დაბინავების ორგანიზებულად განხორციელების მიზნით, მუშაობს შესაბამისი შტაბი. არასტანდარტული მანდარინის ჩაბარება, გადამუშავება, ნაკადების კონტროლი და აღრიცხვა ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ხდება. არასტანდარტულ მოსავალს 30-მდე საწარმო ჩაიბარებს.

დღეის მდგომარეობით, უკვე განხორციელდა 653 ტონა მანდარინის ექსპორტი, რომლის ღირებულებამ 295 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული მანდარინის ექსპორტის მოცულობა 138%-ით აღემატება 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში განხორციელებული ექსპორტის მოცულობის მაჩვენებელს, ხოლო ექსპორტის ღირებულება 149 ათასი აშშ დოლარით გაიზარდა. ექსპორტი, ძირითადად, განხორციელდა სომხეთში (411 ტონა) და რუსეთის ფედერაციაში (185 ტონა). ქართული მანდარინი ექსპორტზე ასევე გავიდა უკრაინაში, მოლდოვასა და ყაზახეთში.

მცხეთა-მთიანეთში 2019-2020 წლებში 100 კილომეტრზე მეტი გზა დაიგო

მცხეთა-მთიანეთის მხარეში საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად საქართველოს მთავრობამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ათობით მილიონი ლარი დახარჯა. მოქალაქეებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით დუშეთის, მცხეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში დაიგო ას კილომეტრზე მეტი გზა, აშენდა ერთი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა შვიდ ხიდს, მიმდინარეობს მრავალმილიონიანი პროექტის მშენებლობა, კერძოდ, ქვეშეთი-კობის პროექტის ფარგლებში 9-კილომეტრიანი გვირაბისა და 13-კილომეტრიანი გზის მშენებლობაა დაგეგმილი.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოგვარების პარალელურად სამშენებლო პროექტებმა დამატებითი სამუშაო ადგილები გააჩინა რეგიონში.

ასპინძის მუნიციპალიტეტში სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

საქართველოს მელიორაცია ასპინძის მუნიციპალიტეტში სარო-ხიზაბავრას მექანიკური მორწყვის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს.

პროექტი 2 ეტაპად ხორციელდება. პირველ ეტაპზე I და II აწევის სატუმბი სადგურებისა და მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია ჩატარდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სადაწნეო მილსადენის აღდგენითი სამუშაოები, რომელიც 1400 მეტრი სიგრძის მილსადენის შეცვლას ითვალისწინებს.



პროექტის განხორციელების შედეგად, აღდგენილი საირიგაციო სისტემის მეშვეობით, სოფლების საროსა და ხიზაბავრას 500 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება. პროექტის ღირებულებაა 562 000 ლარი.

25 დღის ჩვილმა ვირუსი დაამარცხა



ქუთაისის ინფექციურ კლინიკაში კორონავირუსი 25 დღის ჩვილმა დაამარცხა. მცირეწლოვანი ოჯახის წევრისგან დაინფიცირდა. მისი მკურნალი ექიმის ვასილ გოდუაძის თქმით, პაციენტი კლინიკაში 10 დღის განმავლობაში მკურნალობდა.

ქუთაისის ინფექციურ კლინიკაში კოვიდინფექციით 75 პაციენტი მკურნალობს, მათგან 2 კრიტიკულად მძიმეა.

ბოლო 24 საათში საქართველოში 120 სამედიცინო პერსონალი დაინფიცირდა

ძვეძანაში სერიოზული შიდა გავრცელება გვაქვს და მათ შორის, არ არის დაცული სამედიცინო პერსონალი, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

შეზღუდვები კიდევ უფრო გამკაცრდება!

– განაცხადა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ. მისი თქმით, ამ თემაზე დამატებითი კონსულტაციები გაიმართება. თუმცა, გამყრელიძე აღნიშნავს, რომ სრული ჩაკეტვა არ განიხილება.

პოლიტ-მეძავთა კლუნადა

რამდენიმე დღეც და საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ, უნდა ვინმეს ეს თუ არა, მეათე მოწვევის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო გვეყოლება.

თქვენ გგონიათ, ამით ქართული პოლიტიკური ნაცზოოპარკის ბინადარნი საკუთარ გალიებში შეიყუჟებიან და დაოკდებიან? როგორც მათი ფიურერი იტყოდა, ნურას უკაცრავად!

არალეგიტიმურ დეპუტატებს სირცხვილის დერეფანს მოვუწყობთ და მხოლოდ ჩვენზე გადავლით თუ შეაღწევენ სხდომათა დარბაზშიო – დაიმუქრნენ გვიანი შემოდგომის სუსხში გაცხელებული თავები.

წელიწადის ეს უმშვენიერესი, ხვავისა და ბარაქის სინონიმი დრო შემთხვევით არ გვიხსენებია. სულ ახლახანს არ იყო, ცესკო-ს ადმინისტრაციულ შენობასთან მომთაბარეთა ჯოგივით მიდევნილი ვირტუალური გაყალბებით აღშფოთებულ მომიტინგეთა მასა სამართალდამცავთა სავსებით ადეკვატურ გადაწყვეტილებას რომ აპროტესტებდა – გაგანია კორონავირუსის პანდემიის პერიოდში ცივი წყლის ჭავლით გასაწუწად როგორ გაგვიმეტესო? თან ამას ისეთი შვლის ნუკრის (გნებავთ – ბოჩოლას) თვალებით ჩიოდნენ, თითქოს მესერი არ შეენგრიოთ ან ლიდერთა მოწოდებაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის შტურმით აღება არ ჰქონოდეთ განზრახული. არა, ბიჭო და მოჭარბებულ აგრესიას შამპუნშერეული ნელთბილი წყლით გაუმასპინძლდებოდნენ, აი!..

შვილო, არ გსმენია, იდეისთვის ყველაფრისთვის რომ მზად უნდა იყო?

როცა ცესკო-ზე ვსაუბრობთ, ამ დღეებში დიღომში განვითარებული კიდევ ერთი მოვლენა იმსახურებს ყურადღებას.

ვგულისხმობ უახლოეს წარსულში სწორუპოვარ გამყალბებლად ჩამოყალიბებული „ევროპელის“ ხათუნა გოგორიშვილის მიერ საჩივრების განხილვისას უტიფრად, წივილ-კივილით შესრულებულ სოლო არიას. დავიჯერო, მშობლიურ გურიაში ყოფილ თანამოაზრე ჩიგოგიძესთან თითქმის ათმაგი უპირატესობით დამარცხებულ მაჟორიტარობის კანდიდატს ბავშვობაში არ უსწავლია, რომ „მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერს“?

აღარაფერს ვამბობ მისსავე კოლეგაზე, საარჩევნო კომისიის ყოფილ სამარცხვინო თავკაც ლევან თარხნიშვილზე, რომელიც გიორგი ხოჯევანიშვილმა გორის ოლქში ასევე ბეჭებზე დასდო, მაგრამ იხტიბარს არ იტეხავს და „მეც ნახირ, ნახირო“, ცდილობს, ზედაპირზე იტივტივოს.

რადგან რამდენჯერმე წინაპართა სიბრძნე მოვიშველიე, მოდი, ნურც მათგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დაგვავიწყდება, კაკალ გულში რომ მიესადაგება ჩვენს სავალალო თანამედროვეობას.

დიახ, მაშინ, როცა თაობები დაფრთიანდნენ „კარგი შვილი დედის გულის ვარდიაოს“ მოტივებზე, მათი ვაიმემკვიდრენი შებრუნებულ ჭეშმარიტებაში გვარწმუნებენ. მართლაც, როცა ცნობადი მშობლების ნაშიერებს ბოკერიას, მელიას, სანიკიძეს, გაბუნიას, ჩარკვიანს, ხოშტარიას, ბურჯანაძესა და მათი კლასტერის კიდევ რამდენიმე წევრს მოუსმენ, არ იფიქრებ კაცი, რომ „ცუდი შვილი დედის (მამის) გულის დარდია“? ისე, საკითხავია, თუ ახსოვთ ამ წიგნიერ მეამბოხეებს, რომ დღეს გალაკტიონის დაბადების დღეა!

ბუნებრივია, გვერდს ვერც წინა კვირის საფეხბურთო დრამას ავუვლი, რომელიც ჩასაფრებულ ორგულთა უსაფუძვლო პოლიტიკური ჭინთვების საბაბად იქცა – აქაოდა, რა უნდოდათ „დინამოს“ სტადიონის საპატიო სტუმართა ლოჟაში დედაქალაქის მერსა და მის მეგობარ-თანაგუნდელებსო.

მიზეზთა გამო, კახა კალაძის მეხოტბეობას ვერავინ დამწამებს, მაგრამ როცა კაცი, თანაც ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი და სპორტულ სამყაროში დამსახურებულად აღიარებულ-დაფასებული პიროვნება გარკვევით აგიხსნის, მოსაწვევი პირადად უეფადან გამომიყვეს და რამდენიმე ახლობლის შეყვანის უფლებაც მქონდაო, რაღა გახტუნავებს, თუ პროვოკატორი არა ხარ?

იგივე შეიძლება ითქვას მეორე დღეს ფეხბურთის ფედერაციასთან მივარდნილ ფსევდოგულშემატკივრებზეც, რომლებსაც განუმარტეს, შენობა კარანტინის გამო დაკეტილიაო, მაგრამ დაცვის გაფრთხილება ყურად არ იღეს და გაილახნენ კიდეც.

და ბოლოს: დღეს თბილისში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჩამოდის, რომელსაც ოპოზიცია საცირკო ნომრით უპირებს დახვედრას. ჟონგლიორ კუზიანებს რა გაასწორებს?

უჰ, რა საინტერესო დროში ვცხოვრობთ!..

გია პლატონიშვილი

დავით ზარდიაშვილი:

ოპოზიცია ხელისუფლებას ვერ დაამხობს!

არავითარ შემთხვევაში არ გაგრძელდება ისე, რომ ესენი ქუჩაში იდგნენ და ჩოჩელმა ან ოქრიაშვილმა ამაში ფული იხადონ

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩათვალა, რომ 27% არის საკმარისი კრიტიკული მასა იმისათვის, რომ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება მოაწყონ. ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილის განცხადებით, მხარდაჭერის მიუხედავად, 27% „ნაციონალურ მოძრაობას“ არ გაჰყვა, მხარი არ დაუჭირა რევოლუციას, რაც 8 ნოემბრის მოვლენებმაც დაადასტურა. ანალიტიკოსის შეფასებით, სწორედ 8 ნოემბრის შემდეგ გრიგოლ ვაშაძისთვის აბსოლუტურად ცხადი გახდა, რომ ოპოზიციის სრული მარგინალიზაცია მოხდება, თუკი ქუჩაში დარჩებიან.

– ბატონო დავით, „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დაშალა ოპოზიციის ე.წ. ერთობა, მისი განცხადებები ადასტურებს, რომ ვაშაძის ადგილი პარტიაში და ასევე გაერთიანებულ ოპოზიციაში არ არის?

დავით ზარდიაშვილი: არ ვიცი, გამიჭირდება ამის თქმა. ვაშაძე არის პარტიის თავმჯდომარე და, როგორც წესი, თავმჯდომარის განცხადება პარტიის პოზიციად ითვლება ხოლმე. ამ ვითარებაში გაუგებარი ხდება, რა პოზიციაზე არის „ნაციონალური მოძრაობა“.

– გრიგოლ ვაშაძის განცხადებებიდან ჩანს, რომ პარტიის წევრებსა და თავმჯდომარეს შორის არ არის ერთიანი პოზიცია, ხედვა...

– თავისთავად ცხადია, პარტიაში არის ორი პოზიცია. ერთი პოზიცია, რომელიც ვაშაძემ გამოხატა, რომელიც ოფიციალურად არის პარტიის თავმჯდომარე და მას მხარი დაუჭირა სალომე სამადაშვილმა. საუბარია იმაზე, რომ არ შეიძლება მოხდეს ოპოზიციის მარგინალიზაცია. ეს ნიშნავს იმას, რომ პარლამენტში აუცილებლად შევა ოპოზიცია და ეს ცხადია. სხვადასხვა ინტერპრეტაციები მესმის, მაგრამ რაც ვაშაძემ თქვა, სწორედ ეს არის, რომ ოპოზიცია შევა პარლამენტში, რომ მისი მარგინალიზაცია არ მოხდეს და უკვე საპარლამენტო ტრიბუნიდან წავა მსჯელობა არჩევნების ლეგიტიმურობა-არალეგიტიმურობაზე. რეალურად ასეთი ვითარებაა და სამართლებრივადაც ასეა.

ხელახალი არჩევნები რომ დაინიშნოს ამისათვის საარჩევნო პროცესში უნდა დადასტურდეს არსებითი ფაქტები გაყალბების შესახებ. პროპორციულ ნაწილში საარჩევნო ოლქების ნახევარი ნაწილი უნდა იყოს ბათილად ცნობილი და ამის შემდეგ ინიშნება თავიდან პროპორციული არჩევნები. ასეთი ვითარება არ არის. საარჩევნო პროცესი იმ ეტაპზე არის მისული, რომ პირველი ტურის შედეგები შეჯამდა, საოლქოებმა ყველა საჩივარი განიხილეს, სასამართლო საჩივრების ჩათვლით და საბოლოოდ მიიღეს შესწორებული ოქმები. სამართლებრივად არ არსებობს მექანიზმი იმისა, რომ ხელახალი არჩევნები დაინიშნოს.

– მაგრამ, რა მექანიზმი არსებობს იმისა, რომ ოპოზიცია დარწმუნდეს არჩევნების ლეგიტიმურობაში?

– ერთადერთი გზა არის, შევიდნენ პარლამენტში. შექმნან საგამოძიებო კომისია და იქ მიაღწიონ შედეგს. თუ საჭირო არის გადათვლა, ამაზე „ქართული ოცნება“ უარს არ ამბობს. თუ მნიშვნელოვანი დარღვევა იყო, საგამოძიებო კომისიას შეუძლია პასუხიც მოითხოვოს, გამოიძოს კიდეც და თუ საჭიროა, სათითაოდ გადათვალოს ყველა უბნის შედეგები. ოპოზიციას სხვა მექანიზმი მოთხოვების დასაკმაყოფილებლად სამართლებრივ სივრცეში არ აქვს. თუ გარეთ დარჩებიან, ეს მათი ნებაა. რევოლუციაც არ გამოსდით და ხელისუფლებას ესენი ვერ დაამხობენ. ცხადია, ეს გაცნობიერა ვაშაძემ.

– პრინციპში, დაწყებულია კიდეც ოპოზიციის მარგინალიზაცია...

– გეთანხმებით, მაგრამ აქ ლაპარაკია არა მთლიანად ოპოზიციაზე, არამედ „ნაციონალურ მოძრაობაზე“. დანარჩენები, ეს წვრილ-წვრილი ოპოზიციური პარტიები მზად არიან უარი თქვან საპარლამენტო ტრიბუნაზე, ოღონდ ტრიბუნა ჰქონდეთ სამ „გლავკანალში“, და არ სჭირდებათ მათ მაინცდამაინც საპარლამენტო ტრიბუნა. ურჩევნიათ, რომ ტელევიზიაში გაახარონ თავისი ჭია, რაღაცა სისულელეები ილაპარაკონ, ვიდრე პარლამენტში სერიოზულ პოლიტიკურ პროცესში მიიღონ მონაწილეობა. ეს მათი არჩევანია, მაგრამ ვაშაძისთვის და სამადაშვილისთვის, რომელთაც უფრო მეტი ამბიცია აქვთ, ვიდრე მელიას. მელიას რა ამბიცია შეიძლება ჰქონდეს, წავა რაღაცა სისულელეებს დააფრქვევს და მეტი არაფერი. რეალურ პოლიტიკურ პროცესში მელიას ადგილი არ არის. მელიას რა პოლიტიკური ინტერესი შეიძლება ჰქონდეს, რა ინტერესის მატარებელი და გამომხატველი შეიძლება იყოს, დესტრუქციის გარდა მისგან არაფერი მომისმენია. სამადაშვილს და ვაშაძეს ამ მხრივ კიდევ აქვთ გამოცდილება. ასევე არ დაივიწყოთ ის ხალხი, ვინც ფული ჩადო საარჩევნო კამპანიაში. ეს არის კობა ნაყოფია, კახა ოქრიაშვილი, ცეზარ ჩოჩელი, დიდ ფულზეა ლაპარაკი და, რასაკვირველია, ისინი თავის ფულს ითხოვენ. ის ხალხი, ვინც „ნაციონალურ მოძრაობას“ აფინანსებს, სხვა რამეში დებენ ფულს და არა რევოლუციაში, განსხვავებით სააკაშვილისგან, რომელიც რევოლუციაში დებს ფულს.

ცხადია, ისინი პასუხს მოსთხოვენ ამათ და არავითარ შემთხვევაში არ გაგრძელდება ისე, რომ ესენი ქუჩაში იდგნენ და ჩოჩელმა, ან ოქრიაშვილმა ამაში ფული იხადონ, ეს არის აბსურდი, არ მჯერა ამის. ასევე წარმოუდგენელია, ვინმემ დიდხანს გააგრძელოს ამ სამი „გლავკანალის“ დაფინანსება, ესეც წარმოუდგენელია, ძვირი ჯდება მათი შენახვა. „გლავკანალი“ თვეში მილიონზე მეტი ჯდება. ვინ არის მაგის გადამხდელი, როცა არავითარი პერსპექტივა და რეალურ პოლიტიკაზე ზეგავლენა ქუჩას არ აქვს. ცხადია, მიხვდნენ ამას. მათ დაანონსებული აქვთ, რომ არ შევლენ პარლამენტში, რომ გარედან იქნება ხელისუფლებაზე ზეწოლა და ადრე თუ გვიან, ხელისუფლებას ქუჩიდან შევცვლითო. ახლა კი, რადგან ეს ნათქვამი აქვთ, მძევლები არიან თავიანთი სიტყვის და არ უნდათ, რომ სახე დაკარგონ და ცდილობენ, რაღაცნაირად, დელიკატურად გამოვიდნენ ამ ვითარებიდან. ფიქრობენ იმ ხალხზე, ვისაც ეს დაპირება მისცეს, ვინაიდან პასუხს მოსთხოვენ, ეს ხაბეიშვილი იქნება, მელია თუ სხვა.

– თუმცა ცხადია ისიც, რომ ვაშაძეს პარტიაში მხარდაჭერა არ აქვს...

– ეს არის საერთოდ გაუგებარი. საჯაროდ ასე ითქმება, საუბარი მიდის. ფაქტია, რომ დაიწყო დიალოგი. ეს ნიშნავს, რომ ამ პროცესში შევიდა არა მარტო „ნაციონალური მოძრაობა“, არამედ მთელი ოპოზიცია და ეს ფაქტია. ეს არის ვითარება, საიდანაც გამოსავალი არის პარლამენტში შესვლა. სხვა გამოსავალი არ არის, სხვა შედეგი აქ წარმოუდგენელია.

მთელი ოპოზიცია დაიბარეს ამერიკის საელჩოში და არ მგონია, რომ ძალიან მშვიდი საუბარი ყოფილიყო იქ. პირდაპირ, მაგრამ დიპლომატიური ფორმით იქნებოდა გამოხატული აშშ-ის და დასავლეთის პოზიცია, რომ არეულობა ამ ქვეყანაში დასავლეთს არ უნდა და არავითარ შემთხვევაში არ იქნება მხარდაჭერილი. ეს ისედაც რამდენჯერმე თქვეს, მათ განცხადებებში პირდაპირ ჩანს, რომ არჩევნები ლეგიტიმურად არის აღიარებული. სხვა რა შეიძლება მოხდეს?!

– ქუჩაში დარჩენის შემთხვევაში არსებობს შანსი იმისა, რომ ოპოზიცია პოლიტიკიდან გარიყოს ამომრჩეველმა?

– ქუჩაში რომ არ დარჩნენ და პოლიტიკიდან არ გაირიყონ, იმიტომ მივიდნენ ამერიკის საელჩოში. ამის მერე მივლენ პარლამენტში, ოღონდ ამას დროს სჭირდება. ქუჩაში დარჩენის შემთხვევაში ტრიბუნა ექნებათ ტელევიზიიდან, კონტრძალაუფლების სახით. ეს ინკვიზიტორი გვარამია შეუქმნიდა მათ ამ ტრიბუნას, მაგრამ ცხადია, რომ ეს დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

ოპოზიციას ძალიან დიდი ფუნქცია აქვს პარლამენტში – ეს არის ოპონირება და ხელისუფლების კონტროლი. თუ ამაზე უარს იტყოდნენ, აქ შეიძლება ჩართულიყო სხვა მექანიზმი. კერძოდ, პირდაპირი მონაწილეობითი დემოკრატია. იმ ხალხმა, ვინც მათ მანდატი მისცა, მათ შეიძლება პარლამენტისგან მოითხოვონ, რომ პარტიების მეშვეობით კი არა, პირდაპირ მომეცი უფლება, ვაკონტროლო ხელისუფლება და ამის მექანიზმები არსებობს.

თუ პარტია არ სჭირდება, მაშინ მარგინალი ხდება და ქუჩაში მათ ყოფნას, რამდენიმე ტვინგაცხელებულის გარდა, არავინ გაჰყვება. მათ აქციებს პერსპექტივა არ აქვს, მილევადია, რადგან მიზნად აქვთ ხელისუფლების დამხობა, რაც წარმოუდგენელია. 50 ათასი კაციც რომ მოვიდეს, ხელისუფლებას ვერ დაამხობენ. სახელმწიფო არის ინსტიტუციონალიზებული, ძალოვანი სტრუქტურები მონოპოლიზებულია, სრულად არის სახელმწიფოს ხელში. შეიარაღებულ აჯანყებას ესენი ვერ მოაწყობენ, ქუჩიდან პოლიციას ვერ გადაუვლიან...

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

რა უთხრა დეგნანმა პომპეოს

ახლა კი ხვდება კელი დეგნანი, რომ ნამეტანი უშედეგო მხარდაჭერა გამოუვიდა 8 მარტს, მაგრამ ერთადერთი, რაც შეუძლია, ისაა, რომ მაიკ პომპეოს ალარ აატკივებს აუტკივარ თავს - სახელმწიფო მდივანი ოპოზიციას არ შეხვდება, ასეთი ოპოზიციის აზრი მისთვის საინტერესო არ არის. თუმცა, მე თუ მკითხავთ, კეთილი უნდა ინებოს და უნდა შეხვდეს, ნახოს ერთი, რა ბედოვლათებიც არიან და დარწმუნდეს, რომ ტრამპზე მეტი ამბიცია აძვთ – გადათვლა და გასაჩივრება კი არა, ხელახალ არჩევნებსაც არ აღიარებენ, თუ ძალაუფლებას ვერ მიიღებენ.

არჩევნებამდე გამართული ბოლო სამი ბრიფინგიდან, ხელისუფლებამ ცხადი გახადა რაც დაიწყებოდა პირველ ნოემბერს, მაგრამ ყველაზე ძვირფასი, რაც ამ დღეებმა დაგვანახა, მაინც ის მონობაა, რომელიც ასე აკავშირებს ამ გახრწნილ ძალასთან დანარჩენ ჭიაღუა პარტიებს. ამ მართლა ჭიაღუებს ჰგონიათ, რომ საქართველოსთვის გაცილებით მნიშვნელოვანი ფიგურები არიან, ვიდრე ხმათა რაოდენობაში გამოხატა ხალხმა, და ისე უპატივცემულოდ ექცევიან იმ თითო-ოროლა პროცენტს, გეგონება ამომრჩეველმა კი არა, ნინო ბურჯანაძემ გაუნაწილა ლარიანი რეპუტაციიდან (?!).

ტელევიზიებში კი გრგვინავენ, მაგრამ, რეალურად, ეს თოთო ბავშვები იმდენად უმწიფარ პოლიტიკურ კლასს ქმნიან, რომ ჩვენი საქმე მართლა ცუდადაა. ისე იქცევიან, თითქოს წინასწარ არ იცოდნენ, იმ ოცდაათ მაჟორიტარულ ოლქს ვინ მოიგებდა და გეგონება, მათთვის უნდოდა სააკაშვილს მინისტრთა კაბინეტის ის პორტფელები, რომლებსაც ახლაც კი ებღაუჭება ხელახალი არჩევნების იდეაში. ამ გოიმებს რაციონალიზმზე მეტი სიჯიუტე აქვთ, არადა, პოლიტიკოსებად მოაქვთ თავი – თუკი ნაციონალები და ევრონაციონალები პარლამენტში არ შევლენ, თუკი ეს გათახსირებული ძალა მთავარ ოპოზიციურ ნიშას დათმობს და თუკი ამასობაში თვითონ გამართავენ საპარლამენტო ოპონირების მასტერკლასს, 2024-ის ტორტი ვის შეხვდება, ძნელი მისახვედრია?

რა უნდა ელაპარაკო ამის შემდეგ ვითომ რაციონალურ „გირჩს“, ან პრაგმატიკოს „ლელოს“ და ან კიდევ სტრატეგიას, რომელსაც აღმაშენებელი დაარქვა ტიპმა და ამ დროს მზადაა, გრიგოლ ვაშაძისეულ „ყავისფერ სუბსტანციაში“ მოკალათდეს, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ სუბსტანციის სამადაშვილისეულ ინტერპრეტაციაზე (?!).

აღმაშენებელს ედრებიან და ქვეყანას ანაწევრებენ, მერე უცხოეთში გარბიან, შემდეგ იქიდან ღალატობენ ამ ქვეყანას და მათ შთამომავალს რომ უთხრა – ვიდრე პრემიერობამდე მიხვალ, საპარლამენტო გორგოლაჭებზე დატრიალდი, ერთი წამით შემახედე სავარძელი როგორ გაქვსო, გიჟდებიან – რას ჰქვიაო, პრემიერად გამიშვით, თორე კელი დეგნანთან წავალო. წახვალ თორე, შენც ახლა პომპეუსის ხიდი არ დაგიწვას ივანიშვილმა.

რადგან ტელევიზორზე უკეთესად ამათ გაჭირვებას მე ვერ მოვყვები, ზემო იმერეთის ნიავზე გიამბობთ ორიოდე სიტყვით და ამით მოვრჩები. გრიგოლიჩის საოცარი დემოკრატიის გაშარჟება ხო ნარატიული პონტია თითქოს, მაგრამ, როგორც გახარია იტყოდა – შეხედეთ:

თამარ ჟვანია არასამთავრობო სექტორის დაჟინებული კანდიდატურაა და ამაზე მეტი დემოკრატია არ არსებობს!.. სახალხო დამცველის კუთხეც გეცოდინებათ, არაფერი გამოგეპარებათ თქვენ; ქართული ოცნების ყველა საკანონმდებლო რეფორმა მოწონებული და აღიარებულია ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, ხოლო საარჩევნო რეფორმის დეტალები დაზუსტებულია საერთაშორისო ფასილიტატორების უშუალო მონაწილეობით; საქართველოს კონსტიტუცია ყველა დროის საოცარი დემოკრატიების პირმშოა და თან ეროვნული ფენომენია ამავდროულად, ხოლო მისი ავტორი, მავანთათვის ასე საძულველი, კონსტიტუციონალისტი – ირაკლი კობახიძეა; პროპორციული სისტემა ივანიშვილის 2012 წლის დაპირებაა, რომელიც იმ მოწვევის პარლამენტში ჭიაღუებმა ერთად დაბლოკეს, ხოლო 1%-იანი ბარიერი მისი პირადი ფეშქაშია დემოკრატისთვის მირთმეული, რომელსაც კენჭისყრაზე ხმა არ მისცეს თახსირებმა და სწორედ მაშინ გააწნეს კელი დეგნანს ჭკუის სასწავლებელი სილა. მაგრამ, მას შემდეგ ვირისა და წიხლის ანდაზა გაუგია ქალბატონ დეგნანს და მაიკ პომპეოსთვისაც მოუყოლია დაწვრილებით... პომპეოს გულიანად უცინია ქართულ კლასიკაზე და დიპლომატიურად უნუგეშებია – წიხლზე ნუ იფიქრებ მაინც-დამაინც, მაგ სილაზე ვირისა და ხურმის ანდაზა უფრო მიდისო.

საბოლოოდ კი, ხელახალი არჩევნების მხურვალე მხარდამჭერი ვარ – ბარემ „ორმოცსაც“ გადავუხდიდით ახალ წლამდე და დავიწყებდით მართლა ახალ ცხოვრებას, მაგრამ დემოკრატია პროცედურულად ახრჩობს, და არა ჩემს ჭკუაზე. ხოლო ჩემი ჭკუით, აი, ეს ფოტო განასახიერებს ივანიშვილის დღევანდელ განწყობას – თვითდაჯერებულობასაც და მედიდურობასაც უზუსტესად – შეხედეთ ამას და მერე ვილაპარაკოთ, რამდენიც გინდათ...

ლაშა არგვეთელი

„რანინას“ მესამე გამარჯვებული – სანდრა გადელიაა



საქართველოს პირველი არხის საბავშვო მუსიკალური კონკურსის „რანინას“ მესამე სეზონის გამარჯვებული სანდრა გადელია გახდა.

კონკურსის გამარჯვებული გრანდიოზულ ფინალურ შოუზე გამოვლინდა.

სანდრა გადელია 2020 წელს საქართველოს საბავშვო ევროვიზიაზე წარადგენს.

ინკლუზიური თეატრის ექსპერიმენტული პრემიერა

მსოფლიოში COVID-19-ის პანდემიის გამო შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული „ირა კოხრეიძის ინკლუზიური თეატრი“ მაყურებელს ექსპერიმენტულ პრემიერას სთავაზობს. **პრემიერა 28 ნოემბერს, 20:00 საათზე,** online **გაიმართება და მისი ნახვა ყველას შეეძლება** facebook**-ის მეშვეობით.**



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით ინკლუზიური თეატრი მაყურებლის წინაშე პრემიერით „იდუმალი მთის მიღმა“ წარდგება.

„ასეთი ექსპერიმენტული და უჩვეულო ფორმატის არჩევა მსოფლიოში შექმნილმა პანდემიამ გვაიძულა. ეს, ერთი მხრივ, ჩვენი თეატრისთვის გამოწვევაა და, ასევე, საინტერესო გამოცდილების მიღების საშუალება“, – აღნიშნა თეატრის ხელმძღვანელმა ირა კოხრეიძემ.

„იდუმალი მთის მიღმა“ ფილოსოფიურ-შემეცნებითი ხასიათის ინკლუზიური სპექტაკლია, რომელიც დედამიწაზე მოვლენის შემდეგ ადამიანის მიერ განვლილ გზას ასახავს. გადმოცემულია ადამიანის ამბიციები, სწრაფვები, მიზნის მიღწევის ხერხები და მეთოდები. თუმცა, სპექტაკლში მოვლენები მოულოდნელად სხვანაირად ვითარდება.

„მეცნიერება კაპიტანია“

პროექტის „მეცნიერება კაპიტანია“ ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, მწერალთა სახლთან ერთად, აცხადებს პიესების კონკურსს მარი სკლადოვსკა-კიურის ცხოვრების შესახებ.



კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, კონკურსის მიზანს საქართველოში ევროპული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, სახელოვნებო დარგებში მეცნიერული თემატიკის ჩართვა, საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერების ცხოვრების ამსახველი პიესებისა თუ სპექტაკლების შექმნა და ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უცნობი, დრამატურგების გამოვლენა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა წარმოადგენს.

პიესების კონკურსი 20-35 წლის ახალგაზრდებისთვისაა განკუთვნილი და მასში მონაწილეობის მსურველებს ევალებათ, შექმნან ერთ ან ორმოქმედებიანი პიესა მარი სკლადოვსკა-კიურის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

კონფიდენციალური ჟიური განიხილავს საკონკურსო ნაწარმოებებს და 2020 წლის 17 დეკემბერს გამოავლენს გამარჯვებულს, რომელსაც გადაეცემა ფულადი ჯილდო 2 600 ლარის ოდენობით.

ქართული ფილმები – ტალინის კინოფესტივალზე

ტალინის ბნელი ღამეების 24-ე კინოფესტივალი გაიხსნა. ფესტივალის წლევანდელი გამოშვება მაყურებელს წარუდგენს 4 სრულმეტრაჟიან ქართულ მხატვრულ ფილმს. ზაზა ურუშაძის პატივსაცემად, ტალინში აჩვენებენ რეჟისორის 3 ფილმს: „მანდარინები“, „სამი სახლი“ და „ანტონი“.



„ანტონი“ ზაზა ურუშაძის ბოლო ნამუშევარია. ფილმი 2 ბიჭის მეგობრობის ისტორიის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც მათ გარშემო განვითარებულ დრამატულ მოვლენებზე ძლიერია. ფილმი უკრაინის, საქართველოს, ლიეტუვის, შეერთებული შტატებისა და კანადის კოპროდუქციაა.

სექციაში CURRENT WAVES აჩვენებენ დეა კულუმბეგაშვილის სადებიუტო სრულმეტრაჟიან ფილმს „დასაწყისი“. სექცია აერთიანებს იმ ფილმებს, რომელთა მსოფლიო პრემიერაც უკვე წარმატებით გაიმართა მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან კინოფესტივალზე და რომელთაც უკვე მოპოვებული აქვთ საერთაშორისო ჯილდოები.

„დასაწყისი“ საქართველოს კანდიდატი ფილმია ამერიკის კინოაკადემიის 2021 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის. იგი საქართველოსა და საფრანგეთის კოპროდუქციაა.

ტალინის საერთაშორისო კინოფესტივალი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კინომოვლენაა ჩრდილოეთ ევროპაში, რომელიც ა-კლასის ფესტივალების კატეგორიას მიეკუთვნება.

ნიდერლანდებში კოვიდინფიცირებული საქართველოს მოქალაქე დააკავეს

ამსტერდამში, შიპჰოლის აეროპორტში საქართველოს მოქალაქე დააკავეს. ინფორმაციას ნიდერლანდების სამეფოს სამართალდამცველები ავრცელებენ.

უწყების ცნობის, 32 წლის კაცი ძალადობის ბრალდებით დააკავეს. ის შიპჰოლში საქართველოდან ჩავიდა და ტრანზიტით მალტაზე მიემართებოდა. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მას თან წერილი ჰქონდა იმის შესახებ, რომ კორონავირუსი აქვს.

მგზავრი დააკავეს და კარანტინში გადაიყვანეს. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

ადამიანი იმდენად საშინელი შეთქმულების პირისპირ დგას, რომ უარს ამბობს, დაიჯეროს მისი არსებობა

ტესტები, ანუ მაშინ, როცა „კოვიდ-19“, როგორც სახელწოდება საერთოდ არ არსებობდა (იგი 2020 წლის თებერვალში შემოიღეს!), რაც იმაზე მეტყველებს, რომ კოვიდპანდემია თუ პლანდემია დიდი ხნის წინ იყო დაგეგმილი გაერთიანებული ერების დონეზე (ჯანმო – გაეროს სპეციალური დაწესებულებაა) **და, რასაც, როგორც ჩანს, ბევრი ქვეყანა დაეთანხმა (2017-2018 წლებში უკვე გაყიდული იყო ასობით მილიონი ტესტი, სახელწოდებით – „კოვიდ-19“)**. მხოლოდ 6 სექტემბერს, სტატიის გამოქვეყნების შემდეგ შეუცვალა მსოფლიო ბანკმა „კოვიდ-19“-ის ტესტების კომპლექტს სახელწოდება და მას „სამედიცინო ტესტების კომპლექტი“ დაარქვა, რათა არ გაგვეგო, რომ პანდემია დაგეგმილი იყო ბევრად ადრე, ვიდრე ის სინამდვილეში დაიწყო 2019 წლის ნოემბრის ბოლოს. ტესტები ჩვენ არ შეგ-

სამაგიეროდ, მასობრივმა ტესტირებამ და, შესაბამისად, „ინფიცირებულების“ გამოვლენამაც მაქსიმუმს შემოდგომაზე უნდა მიაღწიოს მთელ მსოფლიოში! ტესტებთან დაკავშირებით ერთ რამეს მაინც ვერავინ იფიქრებდა. ამჟამად, რუსეთში 300 ათასზე მეტ ტესტს აკეთებენ ყოველდღიურად, აშშ-ში – 900 ათასზე მეტს, გაღლეტილ საქართველოში კი – 12 ათასს! ანუ მოსახლეობაზე გადაანგარიშებით, 1 000 კაცზე რუსეთში დაახლოებით 2.25 ტესტი კეთდება, აშშ-ში – 2.75, საქართველოში კი – 3.25! **მოკლედ, მოსახლეობაზე გადაანგარიშებით რუსეთსაც ვუსწრებთ და ამერიკასაც** (ამერიკას, სამხედრო კონტინგენტის რაოდენობითაც ხომ ვჯობივართ ავღანეთში და, დიდი ამბავი „გატესტვაშიც“ თუ ვაჯობეთ)!

პრეზიდენტმა **ტრამპმა** Fox News-ში განაცხადა: **„ორჯერ ნაკლები ტესტირება რომ ჩაეტარებინათ, დადებითი პასუხებიც ორჯერ ნაკლები იქნებოდა“, და დაამატა: „99 % ადამიანებისა, რომლებსაც დადებითი პასუხი დაუდგინდათ, ავად არასოდეს გამხდარან“!** ამიტომ თვლის გერმანელი მეცნიერიც **რიჰარდ კანე,** რომ **„კორონავირუსის ეპიდემია, სინამდვილეში ტესტების ეპიდემიაა“** (ასევე ფიქრობს ძალიან ბევრი მეცნიერი, მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატი სტენფორდის უნივერსიტეტიდან **მაიკლ ლევიტი)!** მტკიცებითი მედიცინის ცენტრის დირექტორი ოქსფორდიდან, პროფესორი **კარლ ჰენიგენი**, წერს: **„ეს ვირუსი არასოდეს არ გაქრება მანამდე, სანამ ტესტირება არ შეწყდება,** რადგანაც ეს ტესტი ყოველთვის მოგვცემს ცრუ-დადებით პასუხს ყველაფერზე, რაც კი ინფიცირებას იწვევს“! ფარმაცევტული გიგანტის – „Paizer“-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი და მთავარი მეცნიერ–კონსულტანტი **მაიკ იდენი** და მისი კოლეგები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ **„ლოკდაუნი** (ანუ ყველაფრის დახურვა–დაკეტვა და აკრძალვა – ქუჩაში გამოსვლის და თავისუფლად სუნთქვის ჩათვლით) უსარგებლოა, ვირუსული ინფექციის აღმოსაჩენად **PCR-ტესტი რომ არ ყოფილიყო გამოყენებული, არავითარი პანდემია არ იქნებოდა** და ყველაფერი აღქმული იქნებოდა, როგორც გრიპის საშუალო ან მსუბუქი ფორმა“. თავის სტატიაში **„ტყუილი, წყეული ტყუილი. ცრუ-დადებითი ტესტების სასიკვდილო საფრთხე“**, დოქტორი **იდენი** წერს: „ამ ტესტს ფატალური ნაკლი გააჩნია და იგი დაუყოვნებლივ **ამოღებულ უნდა იქნას ხმარებიდან.** ამ უვარგის ტესტს იყენებდნენ და ახლაც **იყენებენ არა დიაგნოსტიკისთვის, არამედ, – მხოლოდ და მხოლოდ შიშის ატმოსფეროს შესაქმნელად“.** ბევრი ექიმი სხვა, არანაკლები მნიშვნელობის მიზეზსაც ასახელებს: : **ეს ეპიდემია მანამდე არ დასრულდება, სანამ საავადმყოფოებს და ექიმებს (ჯანმოსგან მიღებული მითითებების უსიტყვოდ შემსრულებელ სახელმწიფოებსაც) ფულს უხდიან კოვიდ-19-ის თითოეულ (!) დიაგნოზში და, რომლებიც სიკვდილის გამომწვევ მიზეზადაც,** ნამდვილი მიზეზის ნაცვლად, კოვიდს დაწერენ. საქმე იმაშია, რომ აშშ-ში, კერძოდ, ნიუ-იორკში, ყოველ კორონავირუსიან ავადმყოფში საავადმყოფო ავტომატურად იღებს სახელმწიფოსგან 13 000 დოლარს, ხოლო ხელოვნური სუნთქვის აპარატზე მიერთებულებში კი – 39 000 (!)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №155-159

(არადა, აპარატს მიერთებული 10 ავადმყოფიდან 9 ეღუპებოდათ, – 88% !), რუსეთში – 200 000 – 500 000 რუბლამდე (დაახლ. 3–7 ათას დოლარს) მაშინ, როცა სხვა მიზეზით გამოწვეული პნევმონიის შემთხვევებში ეს თანხა 4 600 დოლარის ტოლია აშშ-ში, და რუსეთში – მხოლოდ 50 000 რუბლის.

ტესტების „სიზუსტეზე“ უკვე ვილაპარაკეთ, ახლა მოგახსენებთ, თუ რა ზრდის კიდევ ამ დადებით პასუხებს. აქამდე მეგონა, რომ მხოლოდ ერთი, ზემოთ ნახსენები ფაქტორი ზრდიდა, რომელსაც ამერიკელმა დოქტორმა **რიჩარდ შულცმა „საავადმყოფოების სტიმულირების პროგრამა“** უწოდა. აღნიშნულის გამო ექიმები ადმინისტრაციისგან ზეწოლას განიცდიან, მათ აიძულებენ დოკუმენტების ფალსიფიცირებას, ტესტების შედეგების გაყალბებას – დადებითი პასუხების წერას.

ჩემთვის ყველაზე გამაოგნებელი და დაუჯერებელიც დადებითი შედეგების მომრავლების მიზეზებიდან (აშშ-ში!), მეორე ფაქტორი აღმოჩნდა (ასევე ფულთან დაკავშირებული, ცხადია!), რომელსაც დოქტორმა შულცმა **„კორონა-ობამაკეარ აფიორა“** უწოდა (ობამაკეარ – ჯანდაცვის დაზღვევის ფორმაა, პრეზიდენტ ობამას დროს მიღებული). თუ თქვენ გაქვთ ასეთი დაზღვევა, ანუ ობამაკეარ, შეგიძლიათ მიიღოთ 1 000 დოლარი ნაღდი ფული, თუკი წინასწარ დათანხმდებით, რომ თქვენი ტესტის პასუხი დადებითი იქნება, თუნდაც, სინამდვილეში ის უარყოფითი იყოს. კლინიკა მიიღებს 19 000 და თქვენ კი – 1 000! „და, ასე ხდება, – ამბობს დოქტორი **შულცი,** – აქ, მაიამიში და ამერიკის სხვა ქალაქებშიც“! ესეც შენი ამერიკა! გინდ დაიჯერეთ და გინდ არა. „გასულ თვეებში, – აგრძელებს შულცი, – იყო ორი კვირა(!), როდესაც ვინც კი ტესტი გაიკეთა (ათასობით ადამიანმა!), ყველამ(!) დადებითი პასუხი მიიღო, რაც შემდეგში საკანცელარიო აღრიცხვიანობაში დაშვებულ შეცდომად ჩაითვალა“. საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი, – ტესტებზე დიდი რიგების გამო ასობით ადამიანმა, ვისაც მოცდა არ შეეძლო და უკანვე გაბრუნდა, რამდენიმე დღეში ფოსტით მიიღო პასუხი იმის შესახებ, რომ მათ კორონავირუსი აღმოაჩნდათ!

და მაინც, ყველაზე შოკის მომგვრელია მსოფლიო ბანკის ცნობა: **2017 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას და საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაციას შეუკვეთავთ მილიონობით დოლარის ღირებულების კოვიდ-19-ის ტეს-**

შიშის დასადგურებაა მსოფლიოში გლობალისტ-სატანისტების უახლოესი(!) მთავარი მიზანი! გარდა იმისა, რომ შიშით შეპყრობილი ადამიანის მანიპულირება ადვილია, იგი მორალურად სპობს ადამიანს და უქვეითებს იმუნიტეტს!

ვისყიდია (თუმცა, დარწმუნებული არ ვარ), თორემ ძალიან ბევრმა, მათ შორის, რუსეთმაც მილიონობით დოლარის ღირებულების ტესტი შეიძინა იმავე წლებში. პლანდემიის წინასწარ დაგეგმვასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ფაქტს მივაგენი – **დენვერის (კოლორადო) აეროპორტში** 1994 წლიდან არის **ფრესკა,** რომელზედაც გამოსახულნი არიან ბავშვებიც და დიდებიც (ძირითადად) **რამდენიმე ათეული სახელმწიფოს დროშების სიმბოლიკის მქონე პირბადეებით!** არსებობს დაფაც, რომელზედაც წერია, რომ **ფრესკა ეძღვნება ახალ მსოფლიო წესრიგს!** გამოდის, რომ **დღევანდელი დღე – პირბადიანი კორონაფსიქოზი, მართლაც დიდი ხნის წინ დაუგეგმავთ ახალი მსოფლიო წესრიგის მამამთავრებს!**

თუ გავითვალიწინებთ ცრუ-დადებითი ტესტების არნახულად მაღალ პროცენტს, ტესტის არასპეციფიკურობას და მასთან დაკავშირებულ კურიოზულ დიაგნოზებს (ტანზანიაში) და კიდევ სხვა, ზემოთ ნახსენებ ფაქტებს და, რომ ეს ტესტები კოვიდ-19-ის სადიაგნოზოდ უვარგისია, მაშინ ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ **მთელ მსოფლიოში (ჩვენის ჩათვლით) შემოღებულ, ლამის სავალდებულო საყოველთაო ტესტირებას, ძალიან რბილად რომ ვთქვა, საღ აზრთან არაფერი აქვს საერთო!**

ტესტებთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა თავად CDC-ის 13 ივლისის პუბლიკაცია. აი, რამდენიმე ნაწყვეტი: „ვირუსული რიბონუკლეინის მჟავას აღმოჩენა **არ მიუთითებს ინფექციური ვირუსის არსებობაზე,** და არც იმაზე, რომ კლინიკური სიმპტომების გამომწვევი კოვიდ-19-ია“; „კოვიდ-19-ის სამკურნალოდ **PCR-ტესტის ეფექტურობა დადგენილი არ არის“;** „ამ ტესტით **არ შეიძლება გამოირიცხოს სხვა ბაქტერიებით და ვირუსებით გამოწვეული დაავადება“**.

თითქოს, ამის მერე მაინც უნდა დასმოდა წერტილი PCR-ტესტების უპრაგონოდ გამოყენებას, მაგრამ – არა, ასე არ მოხდა, პირიქით, – ტესტირებამ იმატა ყველგან, რაც, ბუნებრივია, გაფიქრებინებს, უფრო ზუსტად კი დაგარწმუნებს კარგა ხნის წინ მიხვედრილში, რომ ტესტირების გაგრძელება მიზნად სულ სხვა რამეებს ისახავს მიზნად: ძლიერი „მეორე ტალღის“ აგორებას, გენეტიკური პასპორტების შექმნას, მოსახლეობის კიდევ უფრო დაშინებას და ვაქცინაციისთვის შემზადებას და, ცხადია, დიდი ფულის კეთებასაც ფარმკომპანიების მხრიდან.

დაგვრჩა PCR-ტესტების ღირებულების შეფასება სამედიცინო და ფინანსური თვალსაზრისით. რას გვაძლევს ასეთი კვლევა? ღირებულს, აბსოლუტურად არაფერს! რატომ? იმიტომ, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც კორონავირუსი არ აღმოაჩნდა (სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ტესტის პასუხი იყო უარყოფითი, რადგანაც თავად კორონავირუსი არც ელექტრონული მიკროსკოპით უნახავს ვინმეს და არც ტესტებით ხერხდება მისი არსებობის დამტკიცება ნაცხში ან სხვა ბიოლოგიურ მასალაში), იმავე დღესვე შეიძლება გახდეს ვირუსმატარებელი, ან – მომდევნო დღეებში, ან საერთოდ არ გახდეს ავად. და ამაში, უცნაური არაფერი არ იქნება. მაშ, რას გვაძლევს იგი, როცა 1 000 ტესტიდან 96-980 ტესტ-ნეგატივია? მხოლოდ 20-40 არის (იშვიათად – 50) „ინფიცირებულის“ (ანუ 2-5%) გამოვლენაში გვეხმარება?

ახლა ამ რამდენიმე პროცენტზე, ანუ **დადებითი ტესტების ღირებულებაზეც** ვთქვათ. ჯანმოს ძალზე დაგვიანებული აღიარებით (პანდემიის გამოცხადებიდან შვიდი თვის თავზე, – სექტემბრის ბოლოს!), რაც „ნიუ-იორკ ტაიმსში“-ც დაიბეჭდა: **„100 დადებითი ტესტიდან 90 ცრუ-დადებითია“!** ანუ, როცა 1 000 ტესტირებულიდან დადებითი პასუხი 20-50 ადამიანს ექნება, ამათგან მხოლოდ 2-5 იქნება ჭეშმარიტად სწორი პასუხი, დანარჩენი **995-998 ტესტი** სულ ტყუილად გაკეთებულია, **წყალში გადაყრილი ფულია!** მკითხველი დამერწმუნება, რომ გლობალისტები არაფერს არ აკეთებენ უმიზნოდ – ამ ფუჭი ტესტების მთავარი მიზანი, როგორც ზემოთაც ვთქვი, გენეტიკური პასპორტების შედგენაა მსოფლიოს მასშტაბით!

ზემოთ ნათქვამიდან ადვილად ვრწმუნდებით, რომ ტესტებით მანიპულირება ადვილად ხერხდება – ფულით ყველაფერი შეიძლება იყიდო და ყველაფერზე დაითანხმო ადამიანი, თანხას გაჩნია! ეს ასეა, მაგრამ, რა ვუყოთ კორონავირუსით დაავადებულ და გარდაცვლილ უამრავ ადამიანს, როცა ჩვენი თვალით ვუყურებდით ტელევიზორში ჰოსპიტლების წინ ჩამწკრივებულ სასწრაფო დახმარების მანქანების გრძელ რიგებს შეერთებულ შტატებში და კრე-

შექმნილ ვითარებაში საქართველომ თავის მიწაწყალზე ამერიკული ბაზების განთავსება უნდა მოითხოვოს!

სანამ ქართველი საზოგადოების აქტიური ნაწილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური არითმეტიკის საფუძვლების რკვევით იყო დაკავებული, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა გვამცნო, „კავკასიაში ახალი ერა იწყებაო“, და ერევანსა და ბაქოს ომის დასრულება მიულოცა. თუმცა სომხეთში იმ დროს საზეიმო განწყობა სულაც არ იყო: ომის დასრულებაზე ქვეყნის პრემიერ ნიკოლ ფაშინიანის თანხმობით აღშფოთებული მოქალაქეები სამთავრობო შენობებს არბევდნენ, პარლამენტის თავმჯდომარეს სცემდნენ, მთავრობის გადადგომას მოითხოვდნენ...

დღეს „აქცენტი“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელს, ისტორიკოს ბექა კობახიძეს ესაუბრა.

ახალი სტატუს-კვო: პოლიტიკურ-ეკონომიკური შედეგები

● რუსული წარმომადგენლობა ჩნდება სამხრეთ კავკასიის იმ ერთადერთ ქვეყანაშიც (აზერბაიჯანში), რომელშიც რუსეთის ბაზა ამ დრომდე არ ყოფილა. შესაბამისად, კავკასიაში რუსული წარმოდგენილობა იზრდება;

● სამხრეთ კავკასიისადმი ისედაც საკმაოდ მერყევი დასავლეთის რეგიონში შემოღწევა შეიზღუდება;

● სომხეთის თავისუფალი მოქმედების არეალი კიდევ უფრო იკვეცება. მათ შორის, მოსალოდნელია გაეროში სომხეთის პოზიციის ცვლილება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დევნილების დაბრუნების შესახებ რეზოლუციასთან მიმართებაში (ბოლო ორი წლის განმავლობაში ერევანს ნეიტრალური პოზიცია ჰქონდა, წინა წლებში კი ქართული რეზოლუციის წინააღმდეგ აძლევდა ხმას);

● პოსტსაბჭოთა სივრცეში გაჩნდა მკაფიო მესიჯი, რომ წარმატებას აღწევს არა დემოკრატიული ხელისუფლება, რომელიც დასავლეთისკენ ისწრაფვის, არამედ ავტორიტარული რეჟიმი. ამ შემთხვევაში ალიევის გამარჯვება სიგნალია საქართველოსთვის, ცენტრალური აზიის, აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვისაც, რომ წარმატების გზა რუსეთთან კარგ ურთიერთობაზე გადის — რუსეთს არ მოსწონს დემოკრატიული რევოლუციები და ხელისუფლებები.

რაც შეეხება საკითხის ეკონომიკურ მხარეს, კობახიძე არ თვლის, რომ საქართველო სატრანზიტო ლიდერის ფუნქციას კარგავს:

„შეთანხმების (სამმხრივი განცხადების) მე-9 პუნქტის თანახმად, აზერბაიჯანის დანარჩენი ტერიტორიიდან დერეფანი უნდა გავიდეს სომხეთის სამხრეთ ნაწილზე, რომელიც ირანს ესაზღვრება, შემდეგ — ნახჭევანზე და თურქეთზე. ნავთობი, გაზი, რკინიგზა ამ დერეფნით ვერ გაივლის: უნდა გვესმოდეს, რომ ყარაბაღის მეორე ომის შეწყვეტით კონფლიქტი არ დარეგულირებულა, ხოლო ნავთობსადენს მოკლევადიანი პერსპექტივისთვის არავინ აშენებს: აზერბაიჯანი საკუთარ ენერგომატარებლებსა და რკინიგზას სომხეთს მძევლად ხელში არ ჩაუგდებს — შესაძლოა, ვითარება ნებისმიერ დროს გამწვავდეს და სომხეთს ექნება ბერკეტი, აზერბაიჯანის ეკონომიკა სერიოზულად დააზარალოს. ამრიგად, ენერგომატარებლები და რკინიგზა კვლავინდებურად საქართველოზე გაივლის. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნახჭევანსა და თურქეთს შორის მხოლოდ 8 კმ-იანი საზღვარია და ამ მოკლე პერიმეტრში ყველა ეს სტრატეგიული ობიექტი ვერ ჩაეტევა. სავარაუდოდ, ამ დერეფანს საავტომობილო ტვირთებისთვის გამოიყენებენ, მათ შორის — ტვირთებისთვის, რომლებიც სადღეიოსდ საქართველოზე გადის. მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ტექნიკურად მარტივი იქნება: გზა ამორტიზებულია, მის შეკეთებას ორმხრივი (სომხეთისა და აზერბაიჯანის) ნება სჭირდება, მაგრამ შეთანხმებაში არაა გაწერილი, ამ პროცესს კოორდინაციას ვინ გაუწევს. აქ მნიშვნელოვანია უსაფრთხოების მექანიზმიც — სომხეთის ტერიტორიაზე შესული აზერბაიჯანელი მოქალაქეების უსაფრთხოებას ვინ უზრუნველყოფს?“.

გამოსავლის გზები საქართველოსთვის:

კობახიძის აზრით, საქართველოს სამანევრო სივრცე ძალიან შეზღუდული აქვს, თუმცა ხშირად კრიზისი შესაძლებლობებსაც აჩენს და მნიშვნელოვანია, რომ ამ შესაძლებლობის გამოყენებისთვის საქართველოს ნიადაგი მომზადებული ჰქონდეს.

რეგიონში რუსეთი ძლიერდება და დასავლეთს „ფეხს უკვეთს“ და თუ აშშ–ს სურს, რეგიონში საყრდენი ჰქონდეს, ერთადერთ მკაფიო პროდასავლურ ქვეყნად საქართველო რჩება, — ეს არის მიმართულება, რომელზეც, კობახიძის აზრით, ორმხრივი ურთიერთობების ფორმატში ქართული მხარე უნდა გამოირჩეს, დაწინაურდეს და საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკული ბაზების განთავსება მოითხოვოს.

„ეს უნდა აეწყოს დაახლოებით იმავე მოდელზე, როგორც სამხრეთ კორეაში. ფაქტია, რომ ჯერჯერობით საქართველოს ნატოსკენ გზა არ აქვს და ეს კონფლიქტი ამ გზას კიდევ უფრო კეტავს. მაგრამ ისტორიასა და თანამედროვე პოლიტიკაშიც არსებობს მექანიზმები, რომ აშშ-მა ორმხრივ ფორმატში აიღოს საქართველოს დაცვის ვალდებულება და აქ საკუთარი ჯარები განალაგოს. ეს არ არის მარტივი გზა, მაგრამ თუ არ დავიწყებთ მოძრაობას, ფონს ვერ გავალთ. ეს შესაძლოა, 2-3 წელიწადში არ მოხდეს, მაგრამ არ ვიცით, საერთაშორისო პოლიტიკაში რა ფანჯრები გამოჩნდება და თუ ასეთი ფანჯარა გაჩნდა, ნიადაგი მომზადებული უნდა გვქონდეს — საქართველოს საგარეო პოლიტიკის №1 ამოცანა სწორედ ეს უნდა იყოს. ყოველთვის ხდება, რომ მსოფლიო პოლიტიკაში გარკვეული ძვრები პატარა ქვეყნებისთვის შესაძლებლობებს უცაბედად აჩენს“.

პროაქტიური პოლიტიკის მოლოდინი „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში:

კობახიძე სახელისუფლებო გუნდთან მიმართებაში პროპუტინისტური განწყობების შესახებ რიგ კრიტიკოსთა რადიკალურ მოსაზრებებს არ იზიარებს, თუმცა „ქართული ოცნების“ მიერ პროაქტიური პოლიტიკის წარმოებას არ ელის.

„ბოლო რვა წელია, რუსეთის „დაშოშმინების“ რეჟიმში ვართ, რომ თან პროდასავლურები ვიყოთ, სამიტებს არ გამოვაკლდეთ, თან სერიოზულზე არაფერზე გამოვაცხადოთ პრეტენზია. ამ პოლიტიკასაც აქვს თავისი ლოგიკა, მაგრამ ეს პოლიტიკა, ბუნებრივია, საქართველოს ამერიკულ ბაზებს ვერ მოუტანს“.

ამერიკული ბაზის პერსპექტივა კიდევ ერთხელ ხდის აქტუალურს ღრმაწყლოვანი პორტის საკითხს.

„რაც წამიკითხავს, იქიდან გამომდინარე ვმსჯელობ, რომ ამერიკული ბაზების ლოჯისტიკა უნდა გადიოდეს ღრმაწყლოვან პორტზე და ასეთი პორტი შეიძლებოდა, ყოფილიყო ანაკლია, რომელიც მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც სამხედრო, ისე სავაჭრო ტვირთებისთვის. არის საუბრები, რომ ნოვოსიბირსკში ალტერნატიული ღრმაწყლოვანი პორტი შენდება და რუსეთს არ სურს, კონკურენტი საქართველო იყოს. გვახსოვს ისტორიიდან, როდესაც შევარდნაძეზე განხორციელდა ტერაქტი — მისგან ნავთობსადენის გაჩერებას მოითხოვდნენ, მაგრამ შევარდნაძე არ გაჩერდა. მე შევარდნაძის აპოლოგეტი არ ვარ, მაგრამ თუნდაც საკუთარი სიცოცხლის და უსაფრთხოების ფასად საქართველოს პრეზიდენტმა ამ ქვეყანას მისცა ფუნქცია, რომელზედაც ჩვენ დღესაც ვდგავართ. ამდენად, მსგავსი გადაწყვეტილებები რისკის გარეშე არ მიიღება და ვფიქრობ, არც ხელის აღების ფუფუნება გვაქვს“.

იხ. 4 გვ.

დენვერის (კოლორადო) აეროპორტში 1994 წლიდან არის ფრესკა, რომელზედაც გამოსახულნი არიან ბავშვებიც და დიდებიც (ძირითადად) რამდენიმე ათეული სახელმწიფოს დროშების სიმბოლიკის მქონე პირბადეებით! არსებობს დაფაც, რომელზედაც წერია, რომ ფრესკა ეძღვნება ახალ მსოფლიო წესრიგს! გამოდის, რომ დღევანდელი დღე — პირბადიანი კორონაფსიქოზი, მართლაც დიდი ხნის წინ დაუგეგმავთ ახალი მსოფლიო წესრიგის მამამთავრებს!

მატორიუმებთან აღმართულ კუბოების გორებს იტალიაში, — აქაოდა, იმდენი ცხედარია, კრემაციას ვერ ავუდივართო? ეს ხომ ყველამ ვნახეთ! კი, ნამდვილად შეძრწუნებულები ვუყურებდით ყველანი ამ კადრებს, მაგრამ არ გვინახავს, არცერთ ტელევიზიას არ უჩვენებია სხვა ფაქტები — როცა ერთ საავადმყოფოსთან რიგი იდგა, სამ-ოთხ სხვაში, იმავე ქალაქში, ავადმყოფის ჭაჭანება არ იყო! და, ასე იყო ამერიკის არა მხოლოდ ერთ ქალაქში ან ერთ შტატში, ასე იყო ყველგან! იტალიაში ისეთნაირად გადაიღეს ფილმი, თითქოს ცხედარი გადამდები იყოს და ვირუსებს აფრქვევდეს, ამიტომ არც პათანატომიური შესწავლა ხდებოდა გარდაცვალების ნამდვილი მიზეზის დასადგენად, არც ჭირისუფალს აძლევდნენ კუბოსთვის თავის ახდის უფლებას და, ვინაიდან შეშინებულმა მიცვალებულების გადამზიდავებმაც უარი თქვეს ასეთი ცხედრების მომსახურებაზე, არადა, ლამის ყველა გარდაცვლილს კოვიდ-19-ს დიაგნოზს უსვამდნენ, ხელისუფლება იძულებული გახდა ჯარი გამოეყენებინა და მიელო გადაწყვეტილება კრემაციის შესახებ. იტალიაში კრემაცია არ არის მოდაში, გარდაცვლილებს, ისევე, როგორც ჩვენთან, ასაფლავებენ, რის გამოც კრემატორიუმები დიდი იშვიათობაა, რამაც კუბოების რიგი განაპირობა და დადგა მათი გორები კრემატორიუმებთან. ამ ფონზე, სპეციალურად გადაღებულ ფილმებს, თითქოს, კორონავირუსი ყოფილიყოს ყველაფრის მიზეზი, შემზარავი მუსიკით აფორმებდნენ, რათა **ყველა ადამიანის სხეულში შიშის ჟრუანტელს დაევლოს! სწორედ შიშის დასადგურებაა მსოფლიოში გლობალისტ-სატანისტების უახლოესი(!) მთავარი მიზანი! გარდა იმისა, რომ შიშით შეპყრობილი ადამიანის მანიპულირება ადვილია, იგი მორალურად სპობს ადამიანს და უქვეითებს იმუნიტეტს!**

ერთი სიტყვით, ისეთ სურათს გვიხატავდნენ 24 საათის განმავლობაში ტელევიზიები, ყველას რომ დაგვეჯერებინა, თითქოს, კორონავირუსი არა მარტო დაერია მთელ მსოფლიოს, არამედ მუსრსაც ავლებს მოსახლეობასო.

იაკობ ლეჟავა,
(ტელ: 593-55-04-00)

(გაგრძელება იქნება)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2020 წლის „13“ ნოემბრის №01-01-3/374 ბრძანების შესაბამისად

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა m^3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N258	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	5 000 m^3	84,00	230,00
2	ქ. ბათუმი. მეჯინისწყლის დასახლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	60 000 m^3 (ორ ჭაბურღილზე)	1006,00	510,00
3	ქ.ბათუმი, ნევრესტან შაშიკაშვილის ქ.N 222	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	10 000 m^3	168,00	260,00
4	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ციხისძირი	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	12 960 m^3	217,25	270,00

	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

ბაიდენი მხოლოდ „ფეიკ ნიუს“ მედიისთვისაა გამარჯვებული

„არაფერს ვთმობ! წინ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი. ეს გაყალბებული არჩევნები იყო!“ — დაწერა დონალდ ტრამპმა Twitter-ზე.

9 ნოემბერს დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა ბილ სტეპინმა აღნიშნა, რომ რამდენიმე გადამწყვეტ შტატში დონალდ ტრამპის გუნდი სამართლებრივ დავებს აწარმოებს არჩევნებში დადასტურებულ დარღვევებთან დაკავშირებით. ამერიკული მედიის პროგნოზით, 3 ნოემბრის არჩევნები აშშ-ში ჯო ბაიდენმა მოიგო. მას ახლა კოლეგიაში 306 ხმა აქვს, რაც საჭირო ხმების რაოდენობას (270)აღემატება.

მოლდოვას ახალი პრეზიდენტი ეყოლება

ბიულეტენების 99,62%-ის დათვლის შემდეგ მოლდოვაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ქვეყნის ექსპრემიერი და პროევროპული ძალების წარმომადგენელი მაია სანდუ ლიდერობს.

ქვეყნის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემების თანახმად, სანდუმ ხმების 57,52% მოიპოვა, მის მეტოქე იგორ დოდონს კი ხმა ამომრჩევლების 42,48%-მა მისცა. არჩევნებზე აქტივობამ 52,76% შეადგინა, ხმა 1,6 მილიონზე მეტმა მოქალაქემ მისცა. მაია

სანდუ, რომელიც მსოფლიო ბანკის ყოფილი ეკონომისტია, მოლდოვასა და ევროპას შორის მჭიდრო კავშირის მომხრეა, იგორ დოდონს კი ღიად უჭერს მხარს ოფიციალური მოსკოვი.

◎ „კავკასიური ცარცის წრის“ უმძიმესი სცენები

„შექმნილ ვითარებაში საქართველომ თავის მიწა-წყალზე ამერიკული ბაზების განთავსება უნდა მოითხოვოს“!

(მემვიდე გვერდიდან)

აშშ-ის პოზიცია:

„რა სახის მოქმედებებისთვის იქნება მზად აშშ, მათ შორის — რეგიონში რუსეთის გავლენის შესასუსტებლად, ეს კიდევ უფრო უნდა გამოჩნდეს. აშშ შიდა პოლიტიკის გამო ბევრად უფრო დასუსტებულია, ვიდრე თუნდაც ხუთი წლის წინ. უნდა დაველოდოთ, როგორ დალაგდება პრიორიტეტები. უნდა გვესმოდეს, რომ საქართველო და კავკასია აშშ-ის ახალი ადმინისტრაციისთვის №1 საკითხი არ იქნება, მაგრამ რამდენად მოიცლის, რამდენი ძალა ექნება — უნდა გამოჩნდეს“.

მაინც ვინ მოიგო ომი?

კობახიძე ასკვნის, რომ ამ ომიდან გამარჯვებული გამოვიდა რუსეთი, ალიევის რეჟიმი (და არა აზერბაიჯანული სახელმწიფო) და ნაწილობრივ თურქეთიც: **„თუ ჩავხედავთ ხელშეკრულებას, იქ თურქეთი ფაქტობრივად, ნახსენები არც არის. მართალია, რუსებს ჯერ არ დაუდასტურებიათ, მაგრამ ვინაიდან პრეზიდენტებმა ალიევმა და ერდოღანმა განაცხადეს, რომ ყარაბაღის საკონტროლო ჯგუფში თურქეთიც იქნება ჩართული, ალბათ, ასეც მოხდება. ეს კავკასიაში ერთგვარი შემოღწევაა და ამით თურქეთმა თავისი წილი დაიჭირა კავკასიურ პოლიტიკაში — ეს გარკვეული, მცირე დონით წარმატებაა მისთვის. თუმცა რუსეთს არც არაფერი დაუკარგავს: თუ საკონტროლო ჯგუფში წარმოდგენილები იქნებიან რუსეთი, სომხეთი, თურქეთი და აზერბაიჯანი, ეს ნიშნავს, რომ თურქეთი ყოველთვის აზერბაიჯანის მხარეს დაიჭერს, ხოლო სომხეთი მუდმივად იძულებული იქნება, უზრუნველყოს რუსეთის კეთილგანწყობა, რათა საკონტროლო ჯგუფში მარტო არ დარჩეს. მეორე მხრივ, როგორც 1920 წელს მოხდა შეთანხმება თურქეთსა და რუსეთს შორის, იმდაგვარი ფლირტის მომსწრენი ვართ ამჟამადაც: გეოპოლიტიკურად ისინი მეტოქეები არიან, ცილობა აქვთ მთელ რიგ რეგიონებზე გავლენისთვის, მათ შორის — კავკასიაში, სირიაში, ლიბიაში და ა.შ, თუმცა მეორეს მხრივ, ორივე რეჟიმი უპირისპირდება დასავლურ სისტემას და ეს მათ, გეოპოლიტიკური კონკურენციის მიუხედავად, თანამშრომლობისა და მოკავშირეობისკენ უბიძგებთ. შესაბამისად. ისინი მეტ-ნაკლები ქიშპობით თანამშრომლობენ კიდეც. ამრიგად, ნაკლებ, ვიდრე რუსეთმა, მაგრამ თურქეთმაც თავისი მიზნების ნაწილი მაინც აღასრულა“.**

კობახიძე არ ფიქრობს, რომ ყარაბაღის მეორე ომიდან აზერბაიჯანი, როგორც სახელმწიფო, გამარჯვებული გამოვიდა: **„მიუხედავად ტერიტორიების დაკავებისა, აზერბაიჯანი საკუთარ თავზე სუვერენიტეტის დიდ ნაწილს კარგავს, რადგან მთიან ყარაბაღში რუსეთი პირდაპირ არბიტრად შემოჰყავს და რუსეთი გაცილებით უფრო ძლიერი იქნება აზერბაიჯანის კონტროლისას, ვიდრე აქამდე იყო. მაგრამ უშუალოდ ალიევის რეჟიმი რუსეთთან ერთად ყველაზე მეტად გამარჯვებულია: გამარჯვების რიტორიკაზე დადგება რეჟიმი, თაობებს გაზრდიან ჰეროიზმზე და შეეცდებიან, ამ რიტორიკით რეჟიმი მომავალი ათწლეულების მანძილზე შენარჩუნდეს. არადა, მარცხის შემთხვევაში რეჟიმს სრული კოლაფსი ელოდა“.**

სომხეთი ერთმნიშვნელოვნად დამარცხებულია:

„სომხეთის პროდასავლური პოლიტიკისთვის ყველა სამანევრო სივრცე მოისპო: თუ სომხეთი „ურჩობას“ განაგრძობს, ის საკონტროლო ჯგუფში აზერბაიჯანისა და თურქეთის პირისპირ მარტო დარჩება; რუსეთი ალბათ, კვლავ გაუხსნის გზას მორიგ აზერბაიჯანულ აგრესიას სომხეთის მიმართულებით. ამდენად, სომხეთი ბორკილებდადებულია და ვფიქრობ, მომავალ კვირებში, მაქსიმუმ, თვეებში ფაშინიანის ხელისუფლება არსებობას უბრალოდ ვეღარ შეძლებს“.

როგორც კობახიძე აღნიშნავს, „შეუძლებელია, სომხებმა ვერ დაინახონ, რეალურად რა მოხდა, თუმცა ამჟამად მანევრირების შესაძლებლობა არა აქვთ“. აქედან გამომდინარე, მისი პროგნოზით, სადღეისოდ ქვეყნის ხელისუფლებაში მკვეთრად პრორუსული ძალები ვერ მოექცევიან, თუმცა პროცესები განვითარდება ქართული ანალოგიით — მოვლენ „პატრიოტები“ და „მიუმხრობლები“ პრორუსული პოლიტიკით.

„აქცენტი“

ფაშინიანი თანამდებობის დატოვებას არ აპირებს

„ჩემს დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხია — ქვეყანაში სტაბილურობის უზრუნველყოფა. ჩემს დღის წესრიგში სხვა საკითხი არ დგას“, — განაცხადა ნიკოლ ფაშინიანმა ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე.

სომხეთის დედაქალაქში, ერევანში პრემიერის გადადგომის მოთხოვნით აქციები მას შემდეგ დაიწყო, რაც სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის პირველმა პირებმა ყარაბაღში ომის დასრულებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გააფორმეს. მოსახლეობის ნაწილი ნიკოლ ფაშინიანის ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა.

სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).
	ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობითა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-სა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო ნომერი	245429200
მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
ბიჯის სიდიდე	საწყისი ფასის 10%
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2020 წლის 18 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 18 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2020 წლის 18 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 18 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

მაკრონი გაეროს უშიშროების საბჭოს აკრიტიკებს

საფრანგეთის პრეზიდენტმა გაეროს უშიშროების საბჭო მისი ამჟამინდელი ფორმით გააკრიტიკა.

როგორც ემანუელ მაკრონმა გამოცემა **Grand Continent**-თან ინტერვიუში განაცხადა, ამ დროისთვის უშიშროების საბჭო „არანაირ სასარგებლო გადაწყვეტილებას არ იღებს“.

მისივე თქმით, ევროპას უფრო მეტი დამოუკიდებლობა სჭირდება, მათ შორის თავდაცვის საკუთხებში. **„შეერთებული შტატები პატივს გვცემს ჩვენ, როგორც მოკავშირეებს, თუ სერიოზულად მოვეკიდებით საკუთარ პოზიციას და თუ ჩვენი სუვერენიტეტი გვექნება ჩვენს თავდაცვის საკითხებზე. ჩვენ უნდა განვაგრძოთ საკუთარი ავტონომიის ჩამოყალიბება, ისევე როგორც ამას აკეთებს შეერთებული შტატები საკუთარი თავისთვის, ისევე როგორც ჩინეთი აკეთებს ამას საკუთარი თავისთვის“,** – განაცხადა ემანუელ მაკრონმა.

განცხადება

2020 წლის 16 დეკემბერს დილის 10 საათზე დანიშნულია ს/ს თბილისის „ცენტროლიტი“-ს აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. **2018 წ. წლიური ანგარიში;**
2. **2019 წ. წლიური ანგარიში;**
3. **სხვადასხვა.**

სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 16 ნოემბერი.

მისამართი: ელ. ანდრონიკაშვილის ქ. №29.

ადმინისტრაცია

ტენდერის ვადის გაგრძელება SRAMP/CW/NCB-12 (ლოტი 1, ლოტი 2, ლოტი 3 და ლოტი 4)

შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP)

სესხის No.: IBRD 8599 –GE

კონტრაქტის დასახელება: ლოტი 1 - ჩოხატაური-ზომლეთის საავტომობილო გზის (შ 83) მონაკვეთის კმ 3.5 - კმ 13.8 რეაბილიტაცია; ლოტი 2 - საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის (შ 02) მონაკვეთის კმ 17 - კმ 19.5 რეაბილიტაცია; ლოტი 3 - ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის (შ 46) მონაკვეთის კმ 0.0 - კმ 2.8 რეაბილიტაცია; ლოტი 4 - ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის (შ 46) მონაკვეთის კმ 16 – 21.2 და კმ 21.7 - კმ 22.0 რეაბილიტაცია.

სატენდერო მოწვევა: SRAMP/CW/NCB-12 (ლოტი 1, ლოტი 2, ლოტი 3 და ლოტი 4)

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გატობინებთ, რომ სატენდერო მოწვევაში: ლოტი 1 - ჩოხატაური-ზომლეთის საავტომობილო გზის (შ 83) მონაკვეთის კმ 3.5 - კმ 13.8 რეაბილიტაცია; ლოტი 2 - საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის (შ 02) მონაკვეთის კმ 17 - კმ 19.5 რეაბილიტაცია; ლოტი 3 - ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის (შ 46) მონაკვეთის კმ 0.0 - კმ 2.8 რეაბილიტაცია; ლოტი 4 - ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის (შ 46) მონაკვეთის კმ 16 – 21.2 და კმ 21.7 - კმ 22.0 რეაბილიტაცია - სატენდერო მოწვევა: SRAMP/CW/NCB-12 (ლოტი 1, ლოტი 2, ლოტი 3 და ლოტი 4) განხორციელდა შემდეგი ცვლილება:

სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა: 2020 წლის 9 დეკემბერი, 15:00 სთ ადგილობრივი დროით.

სატენდერო წინადადებები გაიხსნება 2020 წლის 9 დეკემბერს 15:00 საათზე.

Bid Submission Deadline Extension for SRAMP/CW/NCB-12 (Lot 1, Lot 2, Lot 3 and Lot 4)

Secondary Road Asset Management Project (SRAMP)

Credit/Loan No. IBRD 8599-GE

Contract Title: Procurement of Lot 1 – Rehabilitation of Chokhatauri – Zomleti (sh83) road section km 3.5- km 13.8, Lot 2 – Rehabilitation of Sajavakho-Chokhatauri-Ozurgeti-Kobuleti road (sh02) km 17- km 19.5, Lot 3 Rehabilitation of Ozurgeti – Natanebi – Ureki (sh46) road section km 0.0 – km 2.8, Lot 4 - Rehabilitation of Ozurgeti – Natanebi – Ureki (sh46) road section km 16 – km 21.2 and km 21.7 – km 22.0

Reference No.: SRAMP/CW/NCB-12 (Lot 1, Lot 2, Lot 3 and Lot 4)

With reference to the Invitation for Bids for Procurement of Lot 1 – Rehabilitation of Chokhatauri – Zomleti (sh83) road section km 3.5- km 13.8, Lot 2 – Rehabilitation of Sajavakho-Chokhatauri-Ozurgeti-Kobuleti road (sh02) km 17- km 19.5, Lot 3 Rehabilitation of Ozurgeti – Natanebi – Ureki (sh46) road section km 0.0 – km 2.8, Lot 4 - Rehabilitation of Ozurgeti – Natanebi – Ureki (sh46) road section km 16 – km 21.2 and km 21.7 – km 22.0 - **Reference No.**: SRAMP/CW/NCB-12 (Lot 1, Lot 2, Lot 3 and Lot 4) the Roads Department of Georgia kindly informs you that the following change has been made to the Invitation for Bids:

Deadline for Submission of Bids: December 09, 2020, 15:00 hours Local time.

Bids will be publicly opened on December 09, 2020, 15:00 hours local time.

◎ რაგბი

„რკინის ლოგიკა“

ინგლისი – საქართველო: 40:0

გასულ უქმეებზე საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა შემოდგომის ერთა თასზე A ჯგუფში პირველი მატჩი გამართა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ და ექვსი ერის წლევანდელ გამარჯვებულ ინგლისის გუნდთან. მეტოქეები აქამდე ორჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს მსოფლიოს თასზე 2003 და 2011 წლებში. ცხადია, ორივე ორთაბრძოლაში ბრიტანელებმა იოლად გაიმარჯვეს – 84:6 და 41:10. რვა ერის გათამაშების სტარტზეც ინგლისელები რომ მიაღწევდნენ წარმატებას, არავის ეეჭვებოდა, მაგრამ „ბორჯღალოსნები“ თუ 80 წუთის განმავლობაში ერთხელაც ვერ შეუტევდნენ მეტოქეს და შეხვედრას მშრალი ანგარიშით წააგებდნენ, ალბათ, ცოტას თუ ეგონა. ლევან მაისაშვილის შეგირდებმა ვერაფერი დაუპირისპირეს ალბიონელთა იერიშებს და 0:40 (0:26) დამარცხდნენ. **ქულები:** უილისი (14, ლ), ფარელი (16, გ) ჯორჯი (29, ლ), ფარელი (30, გ), ჯორჯი (33, ლ), დეილი (37, ლ), ფარელი (38, გ), ჯორჯი (57, ლ), ფარელი (58, გ), რობსონი (69, ლ), ფარელი (70, გ). ამავე დღეს ჩვენს ჯგუფში ირლანდიამ უელსს მოუგო - 32:9.

მატჩისშემდგომი პრესკონფერენციისას საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა აღნიშნა, რომ მისმა გუნდმა ინდივიდუალური დავალებები ვერ შეასრულა და ამიტომაც წააგო დიდი სხვაობით, თუმცა, მწვრთნელს მიაჩნია, რომ „ბორჯღალოსნებმა“ ამჯერად გარკვეულ მომენტებში უკეთ ითამაშეს და უფრო ბრძოლისუნარიანები იყვნენ, ვიდრე შოტლანდიასთან. ოღონდ როდის გამოჩნდა ეს, არ დაუკონკრეტებია. ისიც თქვა, რომ კუნძულელებთან **„თამაშიდან ბევრი კარგი რამ ვისწავლეთ და ეს წინგადადგმული ნაბიჯიაო“**. ამ ლოგიკით, მეტი სხვაობით წაგება უფრო მომგებიანი იქნებოდა – ერთბაშად ორ ნაბიჯს გადავდგამდით წინ.

21 ნოემბერს შემოდგომის ერთა თასის მეორე ტურში საქართველოს ნაკრები უელსს, ინგლისი კი ირლანდიას დაუპირისპირდება. **29 ნოემბერი.** ირლანდია – საქართველო, ინგლისი – უელსი.

ლექსო ცინცაძე

◎ აგონია

აწმყოს ვინლა ჩივის...

დიახ, არც აწმყო გვწყალობს და, თუ ასე გაგრძელდა ქართული საფეხბურთო სხეულის ჯიჯგნა და წამსვლელი აწი მაინც არ წავიდა, აღარც მომავალი იქნება ჩვენი.

ჯერ მაკედონიისგან ნაწვნევი საუკუნის სირცხვილი და სანუკვარი ევროფუტის საგზურთან გამოთხოვება არ გვქონდა გამოტირებული, რომ უკვე ერთა ლიგის „ბ“ დივიზიონში აღზევება და მუნდიალზე თამაშისათვის ბრძოლის გაგრძელებაზე ოცნებაც გამოვიგლოვეთ.

სამწუხაროდ, ესეც თბილისში მოხდა, ამჯერად მხითარიანის გარეშე ჩამოსულ სომხეთთან, რომელმაც, უნდა ვაღიაროთ, რომ დამსახურებულად მოგვიგო – 2:1 (ყაზაიშვილი – პენალტით; ღაზარიანი, ადამიანი).

ვაისს რამდენიმე ლიდერი აკლდა და სტუმრებს რეზერვისტები დაუპირისპირაო – იტყვიან ზოგზოგიერთები. თქვე დალოცვილებო, საქართველოს

კალათბურთელთა ნაკრებს არც ერთ ევრობასკეტზე არ მიეცა უძლიერესი შემადგენლობით გამოსვლის შანსი, რადგან ტრავმების გამო ხან ფაჩულია აკლდა, ხან შენგელია, ხან მარკოიშვილი და ხანაც – ცინცაძე, მაგრამ თავი არსად შეურცხვენია და ყველგან ღირსეულად გამოიყურებოდა. იმიტომ, რომ ისინი კაცები არიან, თქვენგან განსხვავებით, რომლებმაც კარგად იციან ეროვნული დროშისა და სახელმწიფო ჰიმნის ფასი!

სხვათა შორის, ისიც მოვისმინე, ბიჭები საბოტაჟის გეგმის ნაწილი ხომ არ არიან და ოპოზიციის ბინძურ პოლიტიკურ დაკვეთას ხომ არ ასრულებენო?

ვინც ამას კითხულობს, დიდი წარმოდგენა ჰქონია თანამემამულეებზე. ეტყობა, მათ დაავიწყდათ მეზობელთაგან შარშან ჩატარებული მწარე გაკვეთილი, როცა ერევნის „არარატმა“ თბილისში „საბურთალო“ წაგვიბილწა.

ასე რომ, შევეშვათ უკუდო ამპარტავნობას და ვაღიაროთ: ქართული ფეხბურთი აგონიაშია!

გია პლატონიშვილი

◎ მეორე სახლში...

ქართველები გულს ბოლომდე გიღებენ

მას შემდეგ, რაც პირველმა ნატურალიზებულმა გამთამაშებელმა შემონდ უილიამსმა შეუდარებელი ინდივიდუალური ოსტატობით თანამემამულეთა თამასა საკმაოდ მაღლა ასწია, საქართველოს ეროვნულ საკალათბურთო ნაკრებში ამერიკული ერა დაიწყო.

მართლაც, იქიდან მოყოლებული, თითოეულმა ოკეანისგაღმელმა ლეგიონერმა ამა თუ იმ დოზით გაამდიდრა „ჯვაროსანთა“ ყულაბა. მათ შორის როგორც წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, ისე პიროვნული ღირსებებით გამორჩეული ფიგურა გახლდათ მაიკლ დიქსონი, რომელიც ამას წინათ თბილისში იმყოფებოდა, ასე

ვთქვათ, ტრანზიტით, რადგან ჩინეთის ვიზის მოლოდინში იყო, სადაც „ტენჯინ პიონერსში“ მიიწვიეს საკმაოდ კარგი საკონტრაქტო პირობებით.

მოგეხსენებათ, ცისქვეშეთში სერიოზული პროფესიონალური ლიგაა, რომელშიც, ნბა-ს მსგავსად, 48 წუთს თამაშობენ, მათ შორის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ნათლობამიღებული მაღალი დონის ოსტატები.

– „აზიაში ჯერ მე ჩავალ, შეეგუები იქაურობას და როცა დავლაგდები, ოჯახს საბერძნეთიდან მერე ჩავიყვან. სხვათა შორის, ჩეხეთში თამაშისას კორონავირუსის პანდემიის შედეგად შექმნილი სავიზო პრობლემების გამო მეორე ბავშვზე ფეხმძიმე მეუღლე და ვაჟი ხუთი თვის განმავლობაში ვერ მოვინახულე, რაც ნამდვილი შოკი იყო ჩემთვის“ – გაგვანდო გულისტკივილი ჩვენმა ძველმა ნაცნობმა.

იგი ასევე ემადლიერება საქართველოს კალათბურთის ფედერაციას, რომელიც დღემდე გვერდით უდგას და ამაყობს იმ ნაკრების წევრობით, გულშემატკივრებს სიხარულს რომ ჩუქნიდა.

ბუნებრივია, აქვს განსაკუთრებით ტკბილად გასახსენებელი მატჩებიც: მონტენეგროში საპასუხო შესარჩევი ბრძოლა (31 ქულა), 2017 წლის ევრობასკეტის სტარტზე ლიეტუვასთან ჩადენილი სპორტული გმირობა და მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო რაუნდში სერბეთთან გაბრწყინება (36 ქულა).

– „საქართველო ჩემი მეორე სახლია, ამიტომ ყოველთვის მზად ვარ, დავიცვა მისი ღირსება, სადაც არ უნდა ვთამაშობდე, მთავარია, სანაკრებო და საკლუბო კალენდარი არ გადაიკვეთოს ერთმანეთთან. ქართველები ნამდვილი ხალხია და გულს ბოლომდე გიღებენ. მათ მიმართ დიდ პატივისცემას ვგრძნობ“ – ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა მაიკლ დიქსონი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ გამოიცა

გაგრიდან - პელემდე

ხვალ ტაშკენტის ტრიუმფის 56-ე წლისთავია. წესითა და რიგით, დაუვიწყარ თარიღთან დაკავშირებით საზეიმოდ უნდა გვქონდეს საქმე, მაგრამ, საქართველოს ნაკრების გადამკიდეებს, რა გვეხალისება!..

თუმცა, რატომ? – თითქოს სალბუნად, სწორედ ამ დღეებში გულშემატკივრის წიგნის თაროს შეემატა მაშინდელი ბარაქიანი უზბეკური შემოდგომის ერთ-ერთი კოლორიტული შემოქმედის, მართლაც „ოქროს ბიჭის“ **გიორგი სიჭინავასადმი** მიძღვნილი საკმაოდ სქელტანიანი, უხვად ილუსტრირებული სამაგიდო კრებული, რომელიც სამამულო ფეხბურთის მემატი-

დემიკო ლოლაძესთან ერთად

ანემ **დემიკო ლოლაძემ,** ტრადიციისამებრ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან კობიაშვილის ხელშეწყობითა და დიზაინერ კახა ბახტაძესთან ასევე ნაყოფიერი თანამშრომლობით გამოსცა.

აბა, რა გასაკვირია, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი შესანიშნავად ცურავდა – იგი ხომ ზღვისპირა მარგალიტის – გაგრის მკვიდრია, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ სპორტში საფარიკაო ბილიკიდან შეაბიჯა და როგორც აფხაზეთის უძლიერესმა ჭაბუკმა მუშკეტერმა, რესპუბლიკის თანატოლთა ნაკრების შემადგენლობაში საკავშირო სპარტაკიადაზე მესამე ადგილი დაიკავა.



ლინაც ბევრჯერ დაურღვევია და 7-თვიანი პატიმრობაც „გაუჩალიჩეს“, მაგრამ თვითნაბად ტალანტს ყველა აფასებდა და კიევის „დინამოშიც“ კი ეპატიჟებოდნენ. აკი, 27 წლისამ დაასრულა კიდეც დიდი ფეხბურთის თამაში, მაგრამ რაც მოასწრო, მხოლოდ ერთი სიტყვით შეიძლება შეფასდეს: ბრავო!

ავტორი განსაკუთრებული სტრიქონებით იხსენებს 1965 წლის 4 ივლისს მოსკოვის „ლუჟნიკებში“ გამართულ საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის ნაკრებთა ისტორიულ ამხანაგურ მატჩს ჩვენი ხუთი(!) თანამემამულის მონაწილეობით, სადაც „სიჭიმ“ თვითონ შესთავაზა გუნდის თავკაც ნიკოლოზ მოროზოვს პელეს მეურვეობა!

78 წლის შვილმკვდარი მამა 1992 წლიდან სამშობლოს ბედუკუღმართობის გამო სოჭში ცხოვრობს.

დანარჩენს ჩაუმქრალი ვარსკვლავის შესახებ ნაშრომის ფურცლებიდან შეიტყობთ.

გიორგი ზოთაძე

ახლა მოდაშია „პარკინსონი“

რისი „ეშინია“ რუსეთის პრეზიდენტს და რატომ დაიწყო მან სამართლებრივ გარანტიებზე ფიქრი?!



რუსულ წყაროებზე დაყრდნობით, ბრიტანული გამოცემები Daily Mail, The Sun და სხვები იმაზე ალაპარაკდნენ, რომ 68 წლის რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს პარკინსონის დაავადების სიმპტომები აქვს და ავადმყოფობის გამო, ვადაზე ადრე მისი თანამდებობიდან წასვლა დააანონსეს. გავრცელებულ ინფორმაციას კრემლში უარყოფენ და აცხადებენ, რომ პუტინი თავს „შესანიშნავად“ გრძნობს. თუმცა, მომავალი წლისთვის რუსეთის პრეზიდენტის შესაძლო გადადგომაზე მითქმა-მოთქმა კიდევ უფრო გაამძაფრა 5 ნოემბერს რუსეთის დუმაში ინიცირებულმა კანონმა, რომელიც ქვეყნის ექსპრეზიდენტების მიმართ სამართლებრივი გარანტიების მაქსიმალურ გაზრდას ითვალისწინებს.

ამჟამად მოქმედი ფედერალური კანონი — „პრეზიდენტის გარანტიების შესახებ, რომელმაც შეწყვიტა თავისი უფლებამოსილება და მისი ოჯახის წევრები“, ყოფილ სახელმწიფო მეთაურს მხოლოდ პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელებისას ჩადენილი დანაშაულებისგან იცავს. ახალი კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში კი რუსეთის ექსპრეზიდენტის იმუნიტეტი განურჩევლად ნებისმიერი პერიოდის იმ დანაშაულზე გავრცელდება, რაც მას სიცოცხლის განმავლობაში ჩაუდენია ან ჩაიდენს.

გარდა ამისა, გართულდება ყოფილი პრეზიდენტის გაფართოებული იმუნიტეტის გაუქმება. მისი ანულირებისთვის საჭირო იქნება, რომ დუმის ქვედა პალატის მძიმე ბრალდებას, როგორიცაა მაგ. სახელმწიფო ღალატი ან სხვა მძიმე დანაშაული, ზედა პალატამ უმრავლესობით დაუჭიროს მხარი.

აშკარაა, რომ რუსეთის მოქმედი პრეზიდენტი აქტიურად ზრუნავს საკუთარ პოსტპრეზიდენტურ უსაფრთხოებაზე და დასაქმებაზე. ჯერ კიდევ ოქტომბრის ბოლოს პუტინმა საკანონმდებლო სათათბიროში განსახილველად ახალი კანონი შეიტანა, რომელიც საშუალებას მისცემს მას პრეზიდენტობიდან წასვლის შემდეგ, ფედერაციის საბჭოს მუდმივი წევრობა მოიპოვოს.

კრემლის პრესსპიკერის დიმიტრი პესკოვის განცხადებით, **„ყოფილი პრეზიდენტის იმუნიტეტის შესახებ კანონპროექტი საკმაოდ გამართლებულია და ეს არის პრაქტიკა, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია“**. მან ლოგიკური უწოდა ამ ინიციატივას და აღნიშნა, რომ ახალ კონსტიტუციასთან მთელი რიგი კანონების მორგება ხორციელდება. **„ეს არ არის ინოვაცია, უბრალოდ, იბადება სახელმწიფოს მეთაურის გარანტიების ამჟამინდელი სტატუსი“** — თქვა პესკოვმა.

პოლიტოლოგების უმრავლესობას პუტინის გადადგომის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ. მათ პროგნოზის გაკეთება უჭირთ, მაგრამ თანხმდებიან იმაში, რომ პუტინი საკუთარი თავისთვის გარანტიების შექმნით არის დაკავებული. რუსი პოლიტოლოგი დიმიტრი ორეშკინი „დოიჩე ველესთან“ საუბრისას აცხადებს, რომ **„პუტინს არ სჯერა თავისი კოლეგების, მან ყველაზე კარგად იცის, თუ რა პუბლიკასთან აქვს საქმე. მემკვიდრე, რომელმაც პუტინს შეიძლება თვალებში უყუროს და კუდი უქიცინოს, ერთი წლის შემდეგ თავის წინამორბედს ქვეყნის წინაშე არსებული სირთულეების გამო დაადანაშაულებს“**.

„ეკონომიკა კვდება, ხალხი ღარიბდება, პუტინის რეიტინგი ეცემა და საპროტესტო განწყობები იზრდება. ამ სიტუაციაში პუტინს ყველაზე არასასურველ სცენარზე უწევს ფიქრი და მზადება, განსაკუთრებით ბელარუსში მიმდინარე მოვლენების ფონზე“, — განმარტა ექსპერტმა აბას გალიამოვმა „ღია მედიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

მსოფლიოში არაერთი პრეცედენტია, როცა ყოფილი პირველი პირების წინააღმდეგ სხვადასხვა ბრალდებით გამოძიება დაიწყო. მათ შორის არიან საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, ეგვიპტის ყოფილი მეთაური მუჰამედ მურსი, სამხრეთ კორეის ყოფილი პრეზიდენტი პაკ კინ ჰე, ბრაზილიის ყოფილი პრეზიდენტი მიშელ ტემერი, უკრაინის ყოფილი მეთაური ვიქტორ იანუკოვიჩი, ყირგიზეთის ყოფილი პრეზიდენტი ალმაზბეკ ატამბაევი, სომხეთის ყოფილი პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი.

ამ ჩამოთვლილი სამართლებრივი დევნის შემთხვევების ფონზე, ჩნდება ლოგიკური კითხვა, რამდენად უშველის პუტინს დამატებითი ხელშეუხებლობა და გარანტიები? ალბათ, პასუხიც უფრო მარტივია, ვიდრე ეს ჩვენ გვეჩვენება. წარმოუდგენელია, რაიმე სამართლებრივი გარანტიების მიღება იმ არასამართლებრივ სახელმწიფოში, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტი პუტინი წლებია, საკუთარი ხელებით „აშენებს“.

სანთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გოჩა ჯაფარიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს მეგობარსა და კოლეგას მზია გორგაძეს ძვირფასი მამის

თენგიზ გორგაძის

გარდაცვალების გამო.

ფრიდონ ნიჟარაძე - ხელოვანი კოსმოსიდან

შარშან, ზუსტად ნოემბერში, მოუწყვეს პირველი პერსონალური გამოფენა უშგულელ გენიოს მხატვარს ფრიდონ ნიჟარაძეს. ერთი წლისთავზე კი იგი ზეციური სამყაროს ბინადარი გახდა.

ამ სიურრეალისტი, უფრო ზუსტად კი ტრანსცენდენტალი შემოქმედის არსებობა ცოტამ თუ იცოდა. სამწუხაროდ, სიცოცხლეში, როგორც ბევრი ქართველი, ეს ადამიანიც ვერ დავაფასეთ.

როდესაც თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა) მის გამოფენაზე მოვხვდი, აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი მისი საოცარი ფერებისა და არაამქვეყნიური წარმოსახვის უნარით შექმნილი ნახატების ცქერისას.

ცხოვრობდა თავისთვის ჩუმად და უხმაუროდ. ბავშვობაში თოვლზე და ყინულზეც კი ხატავდა. ქართული ენის სიწმინდის დაცვისთვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც კი მოათავსეს და „შიზოფრენიკად“ მონათლეს.

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ისევ მშობლიურ მთებს მიაშურა, რადგან უშგულის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა. „სოფელი ჩაჟაში იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი და ვიფიქრე, იქნებ მეც მივიღო მის აღდგენაში მონაწილეობაო“ — ამბობდა ერთ-ერთ ინტერვიუში.

როცა ეკითხებოდნენ, თუ საიდან მოსდიოდა ასეთი განსაცვიფრებელი იდეები, პასუხობდა — კოსმოსიდანო. მართლაც არის რაღაც არაამქვეყნიური მის შემოქმედებაში.

სამწუხაროა, რომ კიდევ ერთი ბაჯაღლო ნიჭის მქონე მხატვარი ვერ დავაფასეთ, თუმცა მომავალში, ალბათ, მის ნახატებშიც უამრავ თანხას გადაიხდიან ხელოვნების მოყვარულები...

საქართველოს პრემიერმა გიორგი გახარიამ გულწრფელი სამძიმარი გაუგზავნა უშგულელ სვანებს და სრულიად საქართველოს ფრიდონ ნიჟარაძის გარდაცვალების გამო.

რუსუდან ქოგულია

ინდოეთი ყველაზე ეფექტურად ებრძვის პანდემიას

მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელება ყოველდღიურად შემაშფოთებელ მასშტაბებს იპყრობს, თუმცა ყველასათვის მოულოდნელად, ინდოეთი აღმოჩნდა ის სახელმწიფო, სადაც კოვიდ 19-ის მართვა და დასტაბილურება ყველაზე უკეთ შეძლეს იმ ქვეყნებს შორის, სადაც ინფიცირებულთა რაოდენობა უკვე რამდენიმე მილიონს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთი აშშ-ის შემდეგ რიგით მეორე ყველაზე დაზარალებული სახელმწიფოა კოვიდ 19-ისგან, აქ ყველაზე მეტი ადამიანია გამოჯანმრთელებული და სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 8 729 190 დაავადებულიდან 8 115 580-მა ადამიანმა დაამარცხა კორონავირუსი. მსოფლიოში სულ გამოჯანმრთელებულთა პროცენტულ მაჩვენებელში ინდოეთის ხვედრითი წილი შეადგენს 21 %-ზე მეტს.

ეპიდემიოლოგებისა და მეცნიერების აზრით, აღნიშული ფაქტი აიხსნება იმით, რომ ინდოეთმა დიდი სამუშაოები გასწია წლის დასაწყისიდან აღნიშული ვირუსის გავრცელების შესაკავებლად — მოეწყო ასზე მეტი საველე საავადმყოფო, აქტიურად მიმდინარეობდა ბოლო კურსებზე მყოფი სამედიცინო სტუდენტების გადამზადების სწრაფი პროგრამები და აგრეთვე დაჩქარებული წესით დაიწყო ლაბორატორიული კვლევები ვირუსის შესასწავლად, რომელთან გამკლავება დღეს ინდოეთის ჯანდაცვის სამინისტროსთვის გაცილებით მარტივია, ვიდრე ეს ევროპისა და აშშ-ის შემთხვევაშია.

კოვიდ 19-ის გავრცელების შედეგად ინდოეთში 128 000 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო ამ დრომდე აქტიურ მკურნალობას 484 888 პაციენტი გადის, რომელთაგან 8900 კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

მიირთვით ცირცელი, ბროწეულის წვენი, შავი პილპილი და დათრგუნეთ კორონავირუსი

გერმანელმა მეცნიერებმა კორონავირუსის მკვლელი ნატურალური პროდუქტები დაასახელეს

გერმანელმა მეცნიერებმა კვლევის საფუძვლად ის ფაქტი აიღეს, რომ რესპირატორული ვირუსები უპირველესად ადამიანის საყლაპავს აზიანებს

გერმანელმა მეცნიერებმა გამოავლინეს ნატურალური პროდუქტი, რომელიც კორონავირუს SARS-CoV-2–ს პრაქტიკულად სრულად ანადგურებს.

როგორც ირკვევა, მეცნიერებმა კვლევა იმის გათვალისწინებით დაიწყეს, რომ რესპირატორული ვირუსები თავდაპირველად ადამიანის საყლაპავს აზიანებს. კვლევისას მათ გაარკვიეს, რომ Aronia melanocarpa-ს (შავნაყოფა არონია, ცირცელი) წვენსა და მწვანე ჩაის ვირულიციდური ეფექტი აქვს.

სწავლულების თქმით, შავნაყოფა არონია ექსპერიმენტებისას 97%-ით კლავდა SARS-CoV-2-ის აქტივობას, ხოლო გრიპის ვირუსს კიდევ უფრო ეფექტურად ანადგურებდა.

გარდა ამისა, გერმანელი მეცნიერების დასკვნით, კორონავირუსის პათოგენებს 80%-იანი ეფექტურობით თრგუნავს ბროწეულის წვენი, ხოლო სხვა ნატურალური წვენები და მწვანე ჩაი ასუსტებს დაავადებას. ეს იმიტომ, რომ ისინი მჟავა გარემოს ქმნის და შეიცავს მცენარეულ პოლიფენოლებს, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენს ვირუსზე.

შავი პილპილი კორონავირუსის აქტიურობას თრგუნავს.

აღსანიშნავია, რომ გერმანელი სწავლულების კვლევას ჯერჯერობით არ მიუღია მეცნიერული საზოგადოების შეფასება.

ყველაზე უცნაური საჯარიმო სანქციები

ინდონეზიაში პირბადეებს ვინც არ ატარებს, სასჯელის განსხვავებული ფორმა მოუფიქრეს პოლიციელებმა – კანონდამრღვევებს სამართალდამცავთა თვალწინ ჯარიმის გადახდა ე.წ აზიდვების გაკეთებით უწევთ.

სოციალურ მედიაში აღნიშნული ფაქტის ამსახველი ფოტოებიც გავრცელდა. ზემოხსენებული ფაქტი დაფიქსირდა ქალაქ ბანდა აკეში. ინდონეზიის მთელ ტერიტორიაზე კორონავირუსის პანდემიის ფონზე, მათთვის, ვინც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პირბადეებს არ ატარებენ, სასჯელის სხვადასხვა ფორმით უსწორდებიან – ფულად ჯარიმებთან ერთად ისინი, ვისაც თან ფული არ აღმოაჩნდებათ, პოლიციელები უცნაურ სადამსჯელო ღონისძიებებსაც მიმართავენ.

სასჯელის ერთ-ერთი ფორმა არის აგრეთვე ქუჩების დასუფთავება და დაგვა. აგრეთვე პოლიციელთა მიერ კოვიდპანდემიის განმავლობაში დაწესებული სამედიცინო წესების დარღვევისთვის განსაზღვრული აქვთ „დაჯარიმების“ ისეთი ფორმები, როგორიცაა: რამდენიმე საათით კუბოში წოლა, კანალიზაციის მილების გაწმენდა, მცხუნვარე მზის დროს ასფალტზე 30 წუთის განმავლობაში წამოწოლა.

იყო აგრეთვე შემთხვევები, როდესაც კანონდამრღვევებს კორონავირუსით გარდაცვლილი ადამიანებისთვის საფლავები გაათხრევინეს. ქვეყანაში სულ 340 000 ჯარისკაცია მობილიზებული, რომლებიც ეხმარებიან მთავრობის უსაფრთხოების ძალებს კოვიდ 19-ის წესების უზრუნველყოფაში.

ექიმთა სია,

რომლებიც კოვიდინფიცირებულებს სატელეფონო კონსულტაციას გაუწევენ

სერტიფიცირებული ოჯახის ექიმი თამარ ცანავა, რომელიც კოვიდინფიცირებულ მოქალაქეებს უფასო სატელეფონო კონსულტაციას უწევს, სოციალურ ქსელში ინფორმაციას ავრცელებს:

როგორც არასდროს ახლა თქვენი დახმარება საზოგადოებისთვის ფასდაუდებელია! ამ რთულ პერიოდში მივცეთ საზოგადოებას უფასო კონსულტაციის მიღების საშუალება!

თითოეულ თქვენგანს უღრმესი მადლობა თანადგომისთვის!

გთავაზობთ ექიმთა სიას, რომლებიც მზად არიან დისტანციურად აღმოგიჩინოთ კონსულტაციური დახმარება.

ლალი ელიზბარაშვილი, ექიმი. პაციენტთა სწორად მართვა და მონიტორინგი.მიმართულების ხელმძღვანელი, კოორდინატორი. გაგიწევთ კონსულტაციებს თქვენი კლინიკური ჩივილებიდან გამომდინარე რომელ ექიმს უნდა მიმართოთ ტელ.: +995 597 360 363; +995 577 365 329;

თამარ კახიძე, კარდიოლოგი +995 593 676 987;

მაია ჯიჯავაძე პედიატრი, ოჯახის ექიმი. +995 577 227 509;

ლალი ფხალაძე, რეპროდუქტოლოგი, გინეკოლოგი, +995 599 584 109;

მაკა გეგეჭკორი – რეპროდუქტოლოგი, (გინეკოლოგ/ენდოკრინოლოგი) +995 599 722 007;

ნინო შარაშენიძე, ექიმი ჰემატოლოგი +995 599 914 991;

მაკა ხუციძე, ენდოკრინოლოგი, ნუტრიციოლოგი, +995 555 621 171;

ირინა რევაზიშვილი, მეან-გინეკოლოგი +995 593 273 213;

ელზა აფრიამაშვილი, ზოგადი ქირურგი +995 555 940 748;

ეთერ ცეცხლაძე, კარდიოლოგი +995 599 530 867;

ნუგეშა გრიგალაშვილი, ექიმი გინეკოლოგი, ქირურგი, ლაპარასკოპისტი +995 599 23 99 27;

გიორგი ქოჩიაშვილი, ექიმი სტომატოლოგი, კლინიკა„დენსი“-ს ხელმძღვანელი +995 599 152 737;

თეიმურაზ მოსიავა, სისხლძარღვთა ქირურგი +995 599 926 191;

თამთა ყველიაშვილი, ექიმი რადიოლოგი +995 579 44 5455;

მირანდა ჯანხოთელი, მეან-გინეკოლოგი +995 579 816 816, +995 599 40 42 44;

ქეთევან ჯულაყიძე, ექიმი ნეონატოლოგი, პედიატრი +995 557 445 711;

ირინა თოფურია, ენდოკრინოლოგი +995 577 745 055;

რუსუდან ჯაში, პედიატრი +955 593 332 999;

ნინო ჯაყელი, თერაპევტი +995 599 561 203;

ირინა ურუშაძე, ექიმი-ნევროლოგი +995 579 057 573;

თეონა ფახურიძე, ოჯახის ექიმი +995 599 33 5242;

ეკატერინე კვარაცხელია, მოზრდილთა და ბავშვთა ენდოკრინოლოგი +995 599 435 363;

მაკა კობახიძე-ონიანი, პედიატრი, ნეონატოლოგი, მედიცინის დოქტორი, +995 595 271 800;

მაია დოხტურიშვილი, მეან-გინეკოლოგი +995 599 563 483;

ინგა ჩუბინიძე, პედიატრი +995 593 04 90 90;

ხათუნა ქარჩავა, თერაპევტი +995 597 122 211;

ნინელი ჩხაიძე, ექიმი რადიოლოგი (რენტგენოლოგი) +995 599 323 233;

ნანა ხარებავა, კარდიოლოგი +995 599 975 553;

თათული აბზიანიძე, ანგიოლოგი, +995 599 580 517;

შორენა გოგოხია, მეან-გინეკოლოგი, გინეკოლოგი-ენდოკრინოლოგი +995 593 932 724;

ლუდა ბარბაქაძე, გინეკოლოგი, რეპროდუქტოლოგი +995 597 939 310;

თამარ კომლაძე, თერაპევტი-ტრანსფუზიოლოგი +995 599 797 072;

ლელა გოგია, ოფთალმოლოგი (+995 599 940 054;

მარინა ცაბაძე, ოტორინოლარინგოლოგი +995 599 141 800;

მიხეილ გურასპიშვილი, ნეიროქირურგი +995 555 191 378;

თამარ ქაცარავა, მეან-გინეკოლოგი +995 555 296 399;

ნათია ღვინიაშვილი, ექიმი – კარდიოლოგი +995 551 819 911;

მსურველებს გთხოვთ შემოგვიერთდნენ, ეს დღეს ძალიან მნიშვნელოვანია!

გისურვებთ ჯანმრთელობას“!

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 19 ნოემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2951; ევრო - 3.8961;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3449;
100 რუბლი - 4.2581; თურქული ლირა - 0.4320;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9383;
1000 სომხური დრამი - 6.6685.

ამინდი 17 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+14
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+11
თბილისი:	ღამე	+6,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge